



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი საგანმანათლებლო პროგრამის
შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

„კიბერუსაფრთხოების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამა
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დასახელება

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი
ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტი - ამერიკის შეერთებული შტატები

შეფასების თარიღ(ებ)ი
2025 წლის 23 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი
17/09/2025

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტი - ამერიკის შეერთებული შტატები
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205233022
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სეიედ პურია მადანი კოჩაკი, ონტარიოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კანადა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი იაშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ რაზმაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, კომპიუტერული მეცნიერებებისა და არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული ლექტორი), NEU ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი (პროფესორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მხეიძე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო სახელწოდება (ქართულად)	პროგრამის	კიბერუსაფრთხოება
საგანმანათლებლო სახელწოდება (ინგლისურად)	პროგრამის	Cybersecurity
უმაღლესი განათლების საფეხური		მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²		სანგუ: მეცნიერების მაგისტრი კიბერუსაფრთხოებაში ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტი: მეცნიერების მაგისტრი კიბერუსაფრთხოებაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი		0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³		
სწავლების ენა		ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა		120 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)		19 აგვისტო, 2022; № 921573
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)		-

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

“კიბერუსაფრთხოების” ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ანიჭებს მეცნიერების მაგისტრის ხარისხს კიბერუსაფრთხოებაში ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტი მიერ. პროგრამა მოქმედია და შემუშავებულია კიბერუსაფრთხოების სპეციალისტებზე მზარდი გლობალური მოთხოვნის შესაბამისად.

“კიბერუსაფრთხოების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ანიჭებს ორმაგ ხარისხს. პროგრამის ხანგრძლივობაა ორი წელი (120 კრედიტი) და აერთიანებს თეორიულ სწავლებას და პრაქტიკულ გამოყენებას. პროგრამაზე ირიცხება 60 სტუდენტი (30-30 სტუდენტი ყოველ მიღებაზე). განსაზღვრულია დაშვების მკაცრი წინაპირობები, როგორცაა კომპიუტერული მეცნიერებების საფუძვლების და ინგლისური ენის ცოდნა.

სასწავლო გეგმა თანამედროვე და ყოვლისმომცველია, მოიცავს ძირითად და არჩევით კურსებს ისეთ მიმართულებებში, როგორცაა გამოყენებითი კრიპტოგრაფია, ინციდენტზე რეაგირება, ხელოვნური ინტელექტი კიბერუსაფრთხოებაში, ღრუბლოვანი და ტექნიკური უსაფრთხოება და კიბერსამართალი. შემადგამებელი პროექტი ხელს უწყობს სამეცნიერო და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

პროგრამა შესაბამისობაშია საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამა პერსპექტიულია და მხარდაჭერილია კომპეტენტური აკადემიური პერსონალით და ადეკვატური რესურსებით, მათ შორის ჰიბრიდული სწავლების ინფრასტრუქტურით და ამერიკის შეერთებული შტატების საგანმანათლებლო დაწესებულებასთან პარტნიორობით.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2025 წლის 20 ივნისს, “კიბერუსაფრთხოების” სამაგისტრო პროგრამის შეფასების მიზნით, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, სამუშაო სივრცეები, აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, ჰიბრიდული სწავლების სისტემა და შეაფასა დაწესებულების მზაობა პროგრამის განსახორციელებლად. ჩატარდა გასაუბრებები ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

ზოგადად, პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული ფიზიკური და ციფრული ინფრასტრუქტურა ადეკვატურია. აუდიტორიები აღჭურვილია საჭირო

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ტექნოლოგიებით, სტუდენტებს აქვთ წვდომა როგორც ადგილობრივ, ისე ჩრდილოეთ კონტუქსის უნივერსიტეტის აკადემიურ რესურსებზე, მათ შორის ონლაინ მონაცემთა ბაზებზე. სტუდენტებმა დადებითად შეაფასეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა და აკადემიური გარემო, თუმცა აღნიშნეს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის პრაქტიკის გაუმჯობესების სურვილი. დაწესებულებას პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად შემუშავებული აქვს ერთობლივი ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურა. პროგრამის ძლიერ მხარედ აღიარებულ იქნა გამოცდილ მოწვეულ ლექტორებთან კომუნიკაციის და წვდომის უზრუნველყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტნიორი უნივერსიტეტი, ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოფს წვდომას საბიბლიოთეკო რესურსებზე, ინფრასტრუქტურაზე, უახლეს მასალებზე და ღია პლატფორმებზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტების მოთხოვნებთან, თუმცა, გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები, რომლებიც განხილულია დასკვნაში და ჩამოყალიბებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, გაერთიანდეს მე-10 და მე-13 სწავლის შედეგი მათი საერთო კონცეპტუალური ორიენტაციის და ლოგიკის საფუძველზე, ვინაიდან აღნიშნული გაერთიანება ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმის თანმიმდევრულობას და გააძლიერებს პროგრამის დიზაინის ეფექტურობას;
- რეკომენდებულია, მე - 5 სწავლის შედეგი ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიოდ და ცხადად იმისათვის, რომ ადვილად გასაგები იყოს და ზუსტად ასახავდეს დარგის სპეციფიკურ მახასიათებლებს;
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებული იყოს აკადემიური კეთილსინდისიერების და ეთიკის პრინციპების დაცვით კვლევის შედეგების გაზიარების და ცოდნის დაინტერესებული პირებისთვის წარდგენის უნარი, როგორც ეს მოთხოვნილია მაგისტრატურის დონის განათლების დარგობრივი მახასიათებლით;
- რეკომენდებულია, თითოეული სასწავლო კურსის მიზნები და შეფასების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან და მკაფიოდ დასაბუთდეს აღნიშნული შესაბამისობა;
- რეკომენდებულია, პროგრამის ეფექტიანობის შესაფასებლად და უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, პერიოდულად განხორციელდეს მონაცემების შეგროვება (კურსების შედეგები, სტუდენტების უკუკავშირი, პროექტების შეფასება);
- რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის გაუმჯობესების პროცესში მიგნებების გათვალისწინების მკაფიო პროცედურები. რეკომენდებულია, შეიცვალოს სწავლის შედეგების ფორმულირება იმისთვის, რომ აისახოს

მკაფიო შეფასების მექანიზმები, განისაზღვროს როგორ, როდის და რა კრიტერიუმებით განხორციელდება თითოეული სწავლის შედეგის გაზომვა და როგორ იქნება გამოყენებული პროგრამის გასაუმჯობესებლად, რათა უზრუნველყოს სისტემური, გამჭვირვალე და მოქმედებითი შეფასების ციკლი, რომელიც სწავლის შედეგების შეფასებას პირდაპირ აკავშირებს სასწავლო გეგმის და სწავლების გაუმჯობესებებთან;

- რეკომენდებულია, დაიხვეწოს დაშვების პროცედურები და დაემატოს ძირითადი ტექნიკური კომპეტენციების ობიექტური შეფასება, ბაზისური დარგობრივი (კიბერუსაფრთხოება) მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
 - რეკომენდებულია, თითოეულ სასწავლო კურსში გამრავალფეროვნდეს სწავლება - სწავლის მეთოდები იმისათვის, რათა ასახოს კონკრეტული საგნის თემატიკის უნიკალური მახასიათებლები და სპეციფიკური მოთხოვნები, უზრუნველყოფილი იყოს სილაბუსებში აღნიშნული მეთოდების და შეფასების ინსტრუმენტების მკაფიოდ და განმასხვავებლად აღწერა;
 - რეკომენდებულია, გაგრძელდეს ინფორმაციის სისტემატური გავრცელება შეფასების კრიტერიუმების შესახებ სილაბუსების და საორიენტაციო შეხვედრების მეშვეობით;
 - რეკომენდებულია, განხორციელდეს სხვადასხვა ლექტორების მიერ სტუდენტების შეფასების თანმიმდევრულობის მონიტორინგი, განსაკუთრებით იმ პირების, რომლებიც ახორციელებენ ერთობლივ სწავლებას;
 - რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომი შესრულდეს ინდივიდუალურად იმისათვის, რომ შეძენილი ცოდნა და უნარები იყოს რეალისტური, გაზომვადი და შეფასებადი ინდივიდუალური მიდგომების გამოყენებით, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს დამოუკიდებლად ჩაატარონ კვლევა და მიიღონ სათანადო შეფასება;
 - რეკომენდებულია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა კვლევით აქტივობებში და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის გაზრდით და რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებით;
 - რეკომენდებულია, ინსტიტუციურ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობის მიზნით, ეფექტურად განხორციელდეს აფილირების პროცედურები;
 - რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომებს ხელმძღვანელობდნენ დოქტორის ხარისხის მქონე კანდიდატები. ასევე, უნივერსიტეტმა უნდა გამოიყენოს პარტნიორი უნივერსიტეტის პოტენციური და თანახელმძღვანელებად შერჩეულ იქნეს შესაბამისი პროფესიული გამოცდილების მქონე მოწვეული პერსონალი;
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის ინსტრუქციაში მითითებული იყოს ნაშრომის მოცულობა, წარდგენის და დაცვის ვადები (წესები), კომისიის შემადგენლობა და სხვა არსებითი დეტალები; რეკომენდებულია, საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის გამოცდასთან დაკავშირებული ჩანაწერები,

რაც შესაძლებელს გახდის შეფასების მექანიზმების და კრიტერიუმების დახვეწას მარეგულირებელ წესებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;

- რეკომენდებულია, დაიხვეწოს პლაგიატის გამოვლენის სისტემა და განისაზღვროს მსგავსების დასაშვები პროცენტული ზღვარი, დაზუსტდეს დაშვებული ზღვრის გადაცდენის შემთხვევაში ნაშრომის კორექტირების და იმავე სემესტრში წარდგენის შესაძლებლობა და ვადები, ასევე რა შემთხვევაში არის ნებადართული მოდიფიცირებული ნაშრომის მომდევნო სემესტრში წარდგენა. გარდა ამისა, განსაზღვრული უნდა იყოს მკაფიო პროცედურები იმისათვის, რომ სტუდენტებმა თავად გადაამოწმონ ნაშრომი პლაგიატზე, დადგენილი უნდა იყოს გასაჩივრების მექანიზმები და პლაგიატის თავიდან აცილების რესურსები;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებს შორის თემატური გამეორებების აღმოფხვრის მიზნით უნივერსიტეტმა სისტემატიურად გადახედოს და დააკორექტიროს სასწავლო გეგმა, რაც უზრუნველყოფს თითოეული საგნის უნიკალურ აკადემიურ ღირებულებას და სწავლის შედეგებს და გააძლიერებს პროგრამის თანმიმდევრულობას;
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს კავშირი სასწავლო კურსის და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის;
- რეკომენდებულია, არჩევით კურსებში წარმოდგენილი იყოს ძირითადი კურსებისგან განსახვავებული შინაარსი, იმისათვის, რომ მაგისტრატურის დონეზე შენარჩუნდეს აკადემიური სიღრმე და სპეციფიკურობა.
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მონიტორინგი იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების, მათი შეფასების მექანიზმების, სწავლების მეთოდების, კითხვარების და ინტერვიუების მეშვეობით გამოვლენილი პრობლემების და სხვა საკითხების გადაწყვეტის და გაუმჯობესების მხარდაჭერა;
- რეკომენდებულია, პერსონალიზებული კვლევითი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად შემცირდეს თითოეული ხელმძღვანელისთვის განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სტრუქტურირებული შეფასების ციკლების გამოყენებით, პერიოდულად გადაიხედოს და განახლდეს სასწავლო გეგმა, იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს კიბერუსაფრთხოების განვითარებად ტენდენციებს (როგორცაა კვანტური კიბერუსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, ნულოვანი ნდობის არქიტექტურა) და დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს;
- სასურველია, შემუშავდეს ინტერდისციპლინური მოდულები, რომლებშიც კიბერუსაფრთხოება გაერთიანებული იქნება სამართალთან, ხელოვნურ ინტელექტთან ან კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვასთან;

- სასურველია, კურსდამთავრებულთა დასაქმებადობის ხელშეწყობის მიზნით, პროგრამას დაემატოს პროფესიული/დარგობრივი სერთიფიცირების მოსამზადებელი კურსები (მაგალითად, CISSP, CEH, OSCP);
- სასურველია, შემუშავდეს საფუძვლების ან დარგობრივი მოდული იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ კომპიუტერული მეცნიერებების ან ინჟინერიის ცოდნა;
- სასურველია, გლობალური ხილვადობის უზრუნველსაყოფად და უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად შერჩეული კურსები ან საზაფხულო სკოლები ჩატარდეს ონლაინ რეჟიმში;
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს კურსდამთავრებულთა მონიტორინგის სისტემა და ჩართოს კურსდამთავრებულები მენტორობის და სასწავლო გეგმის შეფასების პროცესებში;
- სასურველია, ტექნოლოგიურ კომპანიებთან და სამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გაძლიერდეს კარიერული განვითარების მხარდაჭერის და დასაქმების ხელშეწყობის სერვისები;
- სასურველია, ფოკუსირებული განვითარების უზრუნველსაყოფად პროგრამას დაემატოს თემატური სასწავლო კურსები (მაგალითად, შემტევი უსაფრთხოება, მართვა, ექსპერტიზა);
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დარგის დაინტერესებული მხარეების ჩართულობა არჩევითი კურსების შინაარსის შემუშავებაში, რომელიც უნდა ასახავდეს განვითარებად უსაფრთხოების გამოწვევებს;
- სასურველია, შედეგების მონაცემების შეგროვების და მონიტორინგის გამარტივების მიზნით, გამოყენებულ იქნას ციფრული ინსტრუმენტები და ხარისხის უზრუნველყოფის დემზორდები;
- სასურველია, სასწავლო კურსების ნაწილი გადავიდეს სპეციალიზაციის კურსებში (მაგალითად, მართვა და რისკი, შემტევი უსაფრთხოება, უსაფრთხო არქიტექტურა), რაც უზრუნველყოფს სიღრმისეულ სწავლებას;
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს პროგრამაზე მიღების მოდულური მოდელები, რაც ითვალისწინებს პირობით მიღებას და დაკავშირებულია მოსამზადებელ კურსებთან (უნდა შემოწმდეს ვებ-გვერდზე განთავსებული მასალები);
- სასურველია, უნივერსიტეტმა სასწავლო კურსებთან ერთად განახორციელოს პრაქტიკული ვორკშოფები ან ბუთკემფები (მაგალითად, პენეტრაციის ტესტირება, ციფრული ექსპერტიზა);
- სასურველია, სტრუქტურირებულ პრაქტიკაში გამოყენებული იქნას CTF (Capture The Flag) ან სიმულაციის პლატფორმები;
- სასურველია, გაიზარდოს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გაფორმებული მემორანდუმების რაოდენობა;
- სასურველია, უნივერსიტეტმა გამოიყენოს კოლეგიალური შეფასების და თვითშეფასების კომპონენტები, განსაკუთრებით ჯგუფური მუშაობისთვის და პრეზენტაციებისთვის;
- სასურველია, გაუმჯობესდეს ინგლისური ენის კომპეტენცია კომუნიკაციის გასაძლიერებლად, განსაკუთრებით საერთაშორისო და თანამშრომლობით კონტექსტში;

- სასურველია, უნივერსიტეტმა რეგულარულად ჩაატაროს საორიენტაციო და საინფორმაციო შეხვედრები შიდა რეგულაციების და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ;
- სასურველია, უნივერსიტეტმა ხელახლა განიხილოს წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები, გამოავლინოს საკითხები, რომლებიც არ არის გადაჭრილი და უზრუნველყოს პრობლემების გადაწყვეტა პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;
- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ყოვლისმომცველი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სასურველია, გაიზარდოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალის რაოდენობა PDCA ციკლის დროულად და ეფექტურად დასრულების უზრუნველსაყოფად;
- სასურველია, თვითშეფასების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული აკადემიური/ მოწვეული პერსონალი და სტუდენტები, რაც უზრუნველყოფს ყოვლისმომცველი ხედვების მიღებას, გამჭვირვალობის გაზრდას და ხელს შეუწყობს უფრო ინკლუზიურ და ეფექტურ ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკას;
- სასურველია, მოხდეს კორექტირება პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სასწავლო კურსებს შორის თემატური დუბლირების აღმოსაფხვრელად და უწყვეტი და ლოგიკური სტრუქტურის უზრუნველსაყოფად. ასევე, სასურველია სისტემატურად გადაიხედოს და შეიცვალოს სასწავლო გეგმა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ თითოეულ სასწავლო კურსს ჰქონდეს უნიკალური აკადემიური ღირებულება და სწავლის შედეგები, რაც გააუმჯობესებს პროგრამის თანმიმდევრულობას და აღმოფხვრის გამეორებებს.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ჩამოყალიბებული არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც განახორციელეს გარკვეული ცვლილებები. მაგალითად, წარმოდგენილი იყო ორი რეკომენდაცია სწავლების და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით, რომლებიც არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინების შემდეგ გაერთიანდა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

"რეკომენდებულია, თითოეულ სასწავლო კურსში გამრავალფეროვნდეს სწავლება - სწავლის მეთოდები იმისათვის, რომ ასახოს კონკრეტული საგნის

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

თემატიკის უნიკალური მახასიათებლები და სპეციფიკური მოთხოვნები, უზრუნველყოფილი იყოს სილაბუსებში აღნიშნული მეთოდების და შეფასების ინსტრუმენტების მკაფიოდ და განმასხვავებლად აღწერა."

გარდა ამისა, რეკომენდაციებს შორის შინაარსობრივი განმეორებების თავიდან აცილების მიზნით, შემდეგი რეკომენდაცია შეიცვალა რჩევად:

"სასურველია, დაკორექტირდეს პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სასწავლო კურსებს შორის თემატური დუბლირების აღმოსაფხვრელად და უწყვეტი და ლოგიკური სტრუქტურის უზრუნველსაყოფად. ასევე, სასურველია სისტემატურად გადაიხედოს და შეიცვალოს სასწავლო გეგმა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ თითოეული სასწავლო კურსს ჰქონდეს უნიკალური აკადემიური ღირებულება და სწავლის შედეგები, რაც გააუმჯობესებს პროგრამის თანმიმდევრულობას და აღმოფხვრის დუბლირებას".

დანარჩენი ცვლილებები წარმოდგენილია საბოლოო დასკვაში, რეკომენდაციების და რჩევების ჩამონათვალში.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები მკაფიოა, ჩამოყალიბებულია გაზომვადი ტერმინებით და მითითებულია ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელთა მიღწევაც მოსალოდნელია სტუდენტებისგან. მიზნები რეალისტური და მიღწევადია ინსტიტუციის რესურსების, როგორცაა აკადემიური პერსონალის გამოცდილება, ლაბორატორიები და სასწავლო მასალები და დადგენილი საკრედიტო საათების ფარგლებში. გარდა ამისა, სასწავლო გეგმაში გამოყენებითი პროექტების და პროფესიული სერთიფიცირების გათვალისწინება აჩვენებს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირებას. დამსაქმებლებთან კონსულტაციები უზრუნველყოფს სასწავლო კურსების შინაარსში და პრაქტიკულ დავალებებში განვითარებადი სფეროების გათვალისწინებას, როგორცაა ღრუბლოვანი უსაფრთხოება და საფრთხის ინტელექტი. ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, პროგრამა ავითარებს ულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარებს და სტუდენტებს აცნობს გლობალურად აღიარებულ სტანდარტებს (მაგალითად, ISO/IEC 27001 და GDPR). სტუდენტური მობილობის შესაძლებლობები, პარტნიორ ინსტიტუციებთან თანამშრომლობა და მოწვეული საერთაშორისო ექსპერტების ლექციები აძლიერებს გლობალურ ხედვას და ამზადებს კურსდამთავრებულს მრავალფეროვან გარემოში საქმიანობისთვის. საერთო ჯამში, მიზნები კარგად არის განსაზღვრული, მიღწევადია, პასუხობს ინდუსტრიის მიმდინარე საჭიროებებს და ხელს უწყობს კურსდამთავრებულებში საერთაშორისო დონეზე მოთხოვნილი კომპეტენციების განვითარებას, რითიც აკმაყოფილებს კომპონენტის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სტრუქტურა და კურსების ჩამონათვალი, სადაც ჩანს თემატური გამეორებები;
- სილაბუსები, რომლებსაც არ აქვთ მკაფიო აკადემიური თანმიმდევრობა;
- ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან;
- მოსამზადებელ ან გამოყენებით პრაქტიკაზე ორიენტირებული მოდულების არარსებობა.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, თითოეული სასწავლო კურსის მიზნები და შეფასების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან და მკაფიოდ დასაბუთდეს აღნიშნული შესაბამისობა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში წარმოდგენილია 14 სწავლის შედეგი, რომელიც მოიცავს კოგნიტურ, პრაქტიკულ და ტრანსფერულ უნარებს (მაგალითად, უსაფრთხო სისტემების დიზაინი, ეთიკური ჰაკინგი, იურიდიული და ეთიკური მოსაზრებები, კვლევითი უნარი). სწავლის შედეგები ეხება სწავლის სამივე კომპეტენციას (ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა/ავტონომიურობა), რაც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს.

თუმცა, ზოგიერთ სწავლის შედეგს შორის გამოიკვეთა შინაარსობრივი გამეორებები. მაგალითად, მეათე სწავლის შედეგი ხაზს უსვამს დამოუკიდებელ და კოლაბორაციულ მუშაობას, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, განვითარებას და კვლევას, ასევე ეთიკური სტანდარტების დაცვას. მეცამეტე სწავლის შედეგი ორიენტირებულია პროფესიული განვითარების საჭიროებების დამოუკიდებლად განსაზღვრაზე და როგორც საკუთარი, ისე გუნდის წევრების აკადემიური ზრდის დაგეგმვაზე. ორივე სწავლის შედეგს აქვს საერთო ელემენტები: დამოუკიდებელი და კოლაბორაციული მუშაობის შესაძლებლობები, პროფესიული განვითარების კომპონენტები და კვლევაზე ორიენტირებული აქტივობები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ოდნავ განსხვავებული ფორმულირებით, შინაარსი უმეტესწილად იდენტურია.

პროგრამის სწავლის შედეგები ფორმულირებულია ზუსტი, გაზომვადი ტერმინებით და შეესაბამება აკადემიური პერსონალის გამოცდილებას, ლაბორატორიულ რესურსებს და სასწავლო მასალებს. სტუდენტების პირველი ნაკადის მონაცემები აჩვენებს, რომ ისინი მუდმივად აღწევენ სწავლის შედეგებს განსაზღვრული საკრედიტო საათების ფარგლებში, რაც ადასტურებს მათ მიღწევადობას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მე-5 სწავლის შედეგი "შეუძლია შეასრულოს ეთიკური ჰაკინგი ღრუბლოვან, მობილურ და IoT - ზე დაფუძნებულ ინფრასტრუქტურებზე", უნდა ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიოდ. ფრაზა "ასრულებს ეთიკურ ჰაკინგს ინფრასტრუქტურებზე" გარკვეულწილად ბუნდოვანია. აღნიშნული შეიძლება ნაწილობრივ მისაღები იყოს ინგლისურ ენაზე, მაგრამ ქართულად ფრაზა არ არის ნათელი და საჭიროებს დაკონკრეტებას. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, უფრო მკაფიო და მისაღებია შემდეგი ფორმულირება: "ასრულებს ღრუბლოვან, მობილურ და ჰაკინგს IoT ტექნოლოგიებში შეღწევას ეთიკის წესების დაცვით, პრობლემების გამოსავლენად და მათზე ადეკვატური რეაგირებისთვის".

სასწავლო გეგმის რუკაში ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია კავშირი კონკრეტულ ფართო მიზანთან, ხოლო შეფასებები შემუშავებულია ორივე სწავლის შედეგების დასადასტურებლად. გამოყენებითი პროექტების, დარგთან დაკავშირებული ინსტრუმენტების და სასერთიფიკატო კურსების ჩართვა, უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის შესაბამისობას დამსაქმებლების საჭიროებებთან ისეთ სფეროებში, როგორცაა კიბერუსაფრთხოების ოპერაციები და რისკების მართვა. დამსაქმებლების უკუკავშირი გამოიყენება

კურსების შინაარსის განახლების მიზნით, რაც უზრუნველყოფს დრუბლოვანი უსაფრთხოების, საფრთხის ინტელექტის და რეგულაციების შესაბამისობას შრომის ბაზრის მოლოდინებთან.

დარგობრივი მახასიათებლის თანახმად, მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების გაზიარება ("წარუდგენს კვლევის შედეგებს დაინტერესებულ მხარეებს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით"). აღნიშნულთან დაკავშირებით, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის "სწავლის შედეგები" არ მოიცავს მკაფიო ჩანაწერს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მაგისტრატურის დონეზე მნიშვნელოვანია ცოდნის გაზიარებისა და დაინტერესებული პირებისთვის მისი წარდგენის უნარის განვითარება.

ინტერნაციონალიზაცია უზრუნველყოფილია კულტურათაშორისი კომუნიკაციის მოდულებით, გლობალურ სტანდარტებთან შესაბამისობით (მაგალითად, ISO/IEC 27001 და GDPR), სტუდენტური გაცვლითი შესაძლებლობებით, ერთობლივ პროექტებში მონაწილეობით და მოწვეული საერთაშორისო ექსპერტების მიერ ჩატარებული ლექციებით. აღნიშნული ელემენტები აძლიერებს გლობალურ პერსპექტივას და ამზადებს კურსდამთავრებულებს მრავალფეროვან პროფესიულ გარემოში მიღებული ცოდნის და უნარების გამოსაყენებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- <https://sangu.edu.ge/> ;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- დარგობრივი მახასიათებელი;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაერთიანდეს მე-10 და მე-13 სწავლის შედეგი მათი საერთო კონცეპტუალური ორიენტაციის და ლოგიკის საფუძველზე, ვინაიდან აღნიშნული გაერთიანება ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმის თანმიმდევრულობას და გააძლიერებს პროგრამის დიზაინის ეფექტურობას.
- რეკომენდებულია, მე - 5 სწავლის შედეგი ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიოდ და ცხადად იმისათვის, რომ ადვილად გასაგები იყოს და ზუსტად ასახავდეს დარგის სპეციფიკურ მახასიათებლებს;
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებული იყოს აკადემიური კეთილსინდისიერების და ეთიკის პრინციპების დაცვით კვლევის შედეგების გაზიარების და ცოდნის დაინტერესებული პირებისთვის წარდგენის უნარი, როგორც ეს მოთხოვნილია მაგისტრატურის დონის განათლების დარგობრივი მახასიათებლით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში წარმოდგენილია მოსალოდნელი სწავლის შედეგები, რომლებიც დაკავშირებულია ინდივიდუალური სასწავლო კურსების და პროგრამის მიზნებთან. მოცემულია ძირითად სასწავლო კურსებთან სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რაც მიუთითებს შეფასების მექანიზმის სტრუქტურირების მცდელობაზე. თუმცა, პროგრამას აკლია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ყოვლისმომცველი და სისტემატური მიდგომა. მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, თუ რა ზომებს მიმართავს უნივერსიტეტი იმ შემთხვევაში თუ ვერ მიიღწევა სამიზნე ნიშნულები და როგორ ხორციელდება მონაცემების გამოყენება და შეფასება. არ არის შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების შედეგების განსაზღვრის, შეგროვების, ანალიზის და პროგრამის გასაუმჯობესებლად აღნიშნული შედეგების გამოყენების ციკლის დოკუმენტი. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ უნივერსიტეტს არ აქვს დოკუმენტირებული სწავლის შედეგების შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის გადახედვის ან სწავლების პრაქტიკის ცვლილების შემთხვევები. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ინდივიდუალური სასწავლო კურსების შეფასებები (მაგალითად, გამოცდები, პროექტები, პრეზენტაციები), ისინი მკაფიოდ არ არის შეგროვებული და გაანალიზებული პროგრამის გაუმჯობესების ან მოდიფიცირების

გადაწყვეტილებების მისაღებად. აღნიშნულის შედეგად დასტურდება, რომ არ არის შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების და პროგრამის გაუმჯობესების უკუკავშირის ციკლი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა (დანართი 2: სწავლის შედეგების და ძირითადი სასწავლო კურსების რუკა);
- თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- სწავლის შედეგების შეფასების ციკლის არარსებობა (განსაზღვრა, მონაცემების შეგროვება, ანალიზი, გამოყენება);
- გასაუბრებები აკადემიურ კოორდინატორებთან და ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის გაუმჯობესების პროცესში მიგნებების გათვალისწინების მკაფიო პროცედურები. რეკომენდებულია, შეიცვალოს სწავლის შედეგების ფორმულირება იმისთვის, რომ აისახოს მკაფიო შეფასების მექანიზმები, განისაზღვროს როგორ, როდის და რა კრიტერიუმებით განხორციელდება თითოეული სწავლის შედეგის გაზომვა და როგორ იქნება გამოყენებული პროგრამის გასაუმჯობესებლად, რათა უზრუნველყოს სისტემური, გამჭვირვალე და მოქმედებითი შეფასების ციკლი, რომელიც სწავლის შედეგების შეფასებას პირდაპირ აკავშირებს სასწავლო გეგმის და სწავლების გაუმჯობესებებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შედეგების მონაცემების შეგროვების და მონიტორინგის გამარტივების მიზნით, გამოყენებულ იქნას ციფრული ინსტრუმენტები და ხარისხის უზრუნველყოფის დეშბორდები.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კიბერუსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს ორი წლის განმავლობაში, 75 კრედიტი განკუთვნილია ძირითადი სასწავლო კურსებისთვის, 20 კრედიტი არჩევითი საგნებისთვის და 25 კრედიტი კვლევითი პროექტისთვის. პროგრამა ფარავს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორცაა ქსელის უსაფრთხოება, კრიპტოგრაფია, ეთიკური ჰაკინგი, ღრუბლოვანი უსაფრთხოება და იურიდიულ-ეთიკური ჩარჩოები. პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული ზემოაღნიშნულ მიმართულებებთან. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო გეგმა არ მოიცავს საფუძვლების მოდულს იმ სტუდენტების მოსამზადებლად, რომლებსაც არ აქვთ ტექნიკური განათლება, ასევე სტაჟირების ან პრაქტიკული მომზადების სტრუქტურირებულ კომპონენტს, რაც ზღუდავს პროგრამაზე ტექნიკური განათლების არმქონე სტუდენტების წვდომას და აფერხებს რეალური სამყაროს უნარების განვითარებას. სასწავლო კურსების კატალოგში დასტურდება თემატური გამეორებები, განსაკუთრებით ქსელის/ვებ უსაფრთხოების და კრიპტოგრაფიის მიმართულებით, რაც ამცირებს სასწავლო გეგმის ეფექტურობას და ქმნის კომპლექსური თემების ზედაპირულად შესწავლის საფრთხეს. მნიშვნელოვანია შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტირებული ციკლი. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურ სასწავლო კურსებში გამოყენებულია გამოცდები, პროექტები და პრეზენტაციები, არ ხორციელდება მათი შედეგების შეგროვება ან ანალიზი სასწავლო გეგმის ან სწავლების მეთოდების გასაუმჯობესებლად. ვიზიტის დროს არ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების და განახლებების შესახებ, რაც ხელს უშლის უკუკავშირის ციკლის განვითარებას და პროგრამის სისტემატიურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გაუმჯობესებას. ჩვენს მიერ წარმოდგენილ აღწერილობაში არ იკვეთება ხარვეზები, არ მეორდება მოსამზადებელ მხარდაჭერაზე და თემატურ გამეორებებზე მითითებები. საჭიროების

შემთხვევაში, შეგვიძლია მაგალითისთვის წარმოვადგინოთ კონკრეტული სილაბუსების ჩამონათვალი სადაც დასტურდება შინაარსობრივი გამეორებები ან მივუთითოთ დამსაქმებლებთან კონსულტაციის მექანიზმის გაუმჯობესების საკითხი. შესაბამისად, წარმოდგენილი აღწერილობა სრულყოფილია და ორიენტირებულია კონკრეტული საკითხების გაუმჯობესებაზე. რაც შეეხება რეკომენდაციებს, შესაძლებელია და პედაგოგიურად გამართლებულია ოთხი რეკომენდაციის სამ რეკომენდაციაში გაერთიანება შინაარსობრივი ცვლილების გარეშე. თქვენს მიერ შემოთავაზებული წინადადება გაერთიანების შესახებ მოიცავს მკაფიო ნაბიჯებს და ითვალისწინებს თითოეული სწავლის შედეგისთვის გაზომვადი ინდიკატორების განსაზღვრას, მონაცემების პერიოდულ შეგროვებას და ანალიზს და წარმოდგენილი მიგნებების გათვალისწინებას სასწავლო გეგმაში და სწავლებაში ფორმალიზებული პროცედურებით. უწყვეტი გაუმჯობესება ეფუძნება ზუსტი ინდიკატორების არსებობას, მტკიცებულებების შეგროვებას და ანალიზს და გაუმჯობესების მიზნით კონკრეტული ცვლილებების განხორციელებას. წარმოდგენილი სამი რეკომენდაცია სრულყოფილად მოიცავს აღნიშნულ ციკლს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა (სტრუქტურა, სასწავლო კურსების ჩამონათვალი და სწავლის შედეგების შესაბამისობა);
- დანართი 1 და 2: სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების შესაბამისობა;
- აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად მიღებული უკუკავშირი;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგები;
- განხილვები თემების და პროგრამის შინაარსის გამეორებების შესახებ.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის ეფექტურობის შესაფასებლად და უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, პერიოდულად განხორციელდეს მონაცემების შეგროვება (კურსების შედეგები, სტუდენტების უკუკავშირი, პროექტების შეფასება).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სტრუქტურირებული შეფასების ციკლების გამოყენებით, პერიოდულად გადაიხედოს და განახლდეს სასწავლო გეგმა, იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს კიბერუსაფრთხოების განვითარებად ტენდენციებს (როგორცაა კვანტური კიბერუსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, ნულოვანი ნდობის არქიტექტურა) და დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს; სასურველია, შემუშავდეს ინტერდისციპლინური მოდულები,

რომლებშიც კიბერუსაფრთხოება გაერთიანებული იქნება სამართალთან, ხელოვნურ ინტელექტთან ან კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვასთან;

- სასურველია, კურსდამთავრებულთა დასაქმებადობის ხელშეწყობის მიზნით, პროგრამას დაემატოს პროფესიული/დარგობრივი სერთიფიცირების მოსამზადებელი კურსები (მაგალითად, CISSP, CEH, OSCP);
- სასურველია, შემუშავდეს საფუძვლების ან დარგობრივი მოდული იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ კომპიუტერული მეცნიერებების ან ინჟინერიის ცოდნა;
- სასურველია, გლობალური ხილვადობის უზრუნველსაყოფად და უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად შერჩეული კურსები ან საზაფხულო სკოლები ჩატარდეს ონლაინ რეჟიმში;
- სასურველია, სასწავლო კურსების ნაწილი გადავიდეს სპეციალიზაციის კურსებში (მაგალითად, მართვა და რისკი, შემტევი უსაფრთხოება, უსაფრთხო არქიტექტურა), რაც უზრუნველყოფს სიღრმისეულ სწავლებას;
- სასურველია, ფოკუსირებული განვითარების უზრუნველსაყოფად პროგრამას დაემატოს თემატური სასწავლო კურსები (მაგალითად, შემტევი უსაფრთხოება, მართვა, ექსპერტიზა);
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დარგის დაინტერესებული მხარეების ჩართულობა არჩევითი კურსების შინაარსის შემუშავებაში, რომელიც უნდა ასახავდეს განვითარებად უსაფრთხოების გამოწვევებს;
- სასურველია, მოხდეს კორექტირება პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სასწავლო კურსებს შორის თემატური დუბლირების აღმოსაფხვრელად და უწყვეტი და ლოგიკური სტრუქტურის უზრუნველსაყოფად. ასევე, სასურველია სისტემატურად გადაიხედოს და შეიცვალოს სასწავლო გეგმა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ თითოეულ სასწავლო კურსს ჰქონდეს უნიკალური აკადემიური ღირებულება და სწავლის შედეგები, რაც გააუმჯობესებს პროგრამის თანმიმდევრულობას და აღმოფხვრის გამეორებებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„პერსონალური მონაცემების დაცვის და კონფიდენციალურობის“ და „მონაცემთა კონფიდენციალურობის“ სასწავლო კურსებს შორის იკვეთება მკაფიო შინაარსობრივი გამეორებები. „პერსონალური მონაცემების დაცვის და კონფიდენციალურობის“ სასწავლო კურსი მოიცავს მონაცემთა დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს, მათ შორის ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას. ხოლო „მონაცემთა კონფიდენციალურობის“ სასწავლო კურსი მოიცავს კონფიდენციალურობის შესახებ ევროკავშირში და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედ კანონმდებლობას და ნორმატიულ საფუძვლებს. რაც შეეხება შინაარსს, „პერსონალური მონაცემების დაცვის და კონფიდენციალურობის“ სასწავლო კურსი ეხება მონაცემთა სუბიექტების უფლებებს, პასუხისმგებლობას და ვალდებულებებს, ასევე მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომებს. ამავდროულად, „მონაცემთა კონფიდენციალურობის“ სასწავლო კურსი ორიენტირებულია კონფიდენციალურობის პრინციპებზე, კონფიდენციალურობის კონცეფციებზე და მონაცემების ანონიმურობის ტექნიკებზე.

ინციდენტების მართვის და რისკების შეფასების თვალსაზრისით: „პერსონალური მონაცემების დაცვის და კონფიდენციალურობის“ სასწავლო კურსი მოიცავს თემებს, რომლებიც ეხება მონაცემთა ინციდენტების მართვასთან და პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას. „მონაცემთა კონფიდენციალურობის“ კურსი მიმოიხილავს კონფიდენციალურობის საფრთხეებს, მონაცემთა გაჟონვას და კონფიდენციალურობის რისკების მართვას.

ტექნოლოგიური ინსტრუმენტების და ალგორითმების თვალსაზრისით „პერსონალური მონაცემების დაცვა და კონფიდენციალურობა“ ძირითადად მოიცავს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის სამართლებრივ და ორგანიზაციულ ასპექტებს. ხოლო, „მონაცემთა კონფიდენციალურობის“ კურსში

წარმოდგენილია კონფიდენციალურობის ალგორითმები, მოდელები, ინჟინერია და ტექნოლოგიები.

ასევე, მნიშვნელოვანი გამოვლენები იკვეთება „პერსონალური მონაცემების დაცვის და კონფიდენციალურობის“ და „კიბერსამართლის და ეთიკის“ სასწავლო კურსებს შორის. პირველი სასწავლო კურსი ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა GDPR, საქართველოს პერსონალური მონაცემების დაცვის კანონი და ზედამხედველი ორგანოების საქმიანობა. ანალოგიურად, „კიბერსამართლის და ეთიკის“ კურსი მოიცავს მონაცემთა დაცვის მექანიზმებს და რეგულაციებს, მათ შორის მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობას.

„მონაცემთა კონფიდენციალურობის“ და „კიბერსამართლის და ეთიკის“ სასწავლო კურსებში ფიქსირდება რამოდენიმე თემატური გამოვლენა. კერძოდ, ორივე სასწავლო კურსში ისწავლება GDPR და მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები. „კიბერსამართლის და ეთიკის“ კურსი მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა წვდომის უფლება, არსებული კანონები, სამართლებრივი ხარვეზები, შემოთავაზებული გადაწყვეტის გზები და ანონიმურობა. „მონაცემთა კონფიდენციალურობის“ კურსში განხილულია კონფიდენციალურობის ინჟინერიის მეთოდოლოგიები, ინსტრუმენტები და პრინციპები, მათ შორის GDPR და კონფიდენციალურობის მიდგომები. გარდა ამისა, „პერსონალური მონაცემების დაცვის და კონფიდენციალურობის“ კურსი მოიცავს პასუხისმგებლობებს და ვალდებულებებს, მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომებს, კონფიდენციალურობის დაცვას პროდუქტის დიზაინში და სამართლებრივ ასპექტებს.

გამოვლენები ძირითადად ეხება GDPR-ს და მონაცემთა დაცვის ეროვნულ კანონმდებლობას (პერსონალური მონაცემების დაცვა და კონფიდენციალურობა, მონაცემთა კონფიდენციალურობა და კიბერსამართალი და ეთიკა); მონაცემთა დაცვის, უფლებების და უსაფრთხოების ზოგად პრინციპებს (პერსონალური მონაცემების დაცვა და კონფიდენციალურობა და მონაცემთა კონფიდენციალურობა); მონაცემთა უსაფრთხოების ზოგად პრინციპებს, მათ შორის მონაცემთა ბაზის უსაფრთხოებას, მთლიან მონაცემთა დაცვას და ა.შ.

აღნიშნული საგნები კვეთს და ავსებს ერთმანეთს, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის, კონფიდენციალურობის და კიბერსამართლის ასპექტების ყოვლისმომცველ გაგებას სამართლებრივ, ტექნიკურ და ეთიკურ ჭრილში.

სხვადასხვა კურსებში მეორდება ზოგიერთი თემა, მაგალითად, ვებ და ქსელის უსაფრთხოების შეფასების მეთოდოლოგიები და ვებ უსაფრთხოება და ქსელის უსაფრთხოება. გარდა ამისა, ზოგიერთი თემა მეორდება მთელს პროგრამაში.

რეკომენდებულია, აღმოიფხვრას ზემოაღნიშნულ სასწავლო კურსებში გამოვლენილი შინაარსობრივი გადაფარვები ან მოხდეს საგნების გაერთიანება. ასევე შესაძლებელია გაერთიანებული ან ამოღებული საგნების ნაცვლად უნივერსიტეტმა სტუდენტებს შესთავაზოს ალტერნატიული სასწავლო კურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს კავშირი სასწავლო კურსის და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის;
- რეკომენდებულია, არჩევით კურსებში წარმოდგენილი იყოს ძირითადი კურსებისგან განსახვავებული შინაარსი, იმისათვის, რომ მაგისტრატურის დონეზე შენარჩუნდეს აკადემიური სიღრმე და სპეციფიკურობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანო	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

განსაზღვრულია „კიბერუსაფრთხოების“ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც საჯაროდ ხელმისაწვდომია. საქართველოს მოქალაქეები უნდა ფლობდნენ ბაკალავრის ხარისხს, უნდა ჩააბარონ ერთიანი სამაგისტრო გამოცდა, დაადასტურონ ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე, ჩააბარონ დარგობრივი გამოცდა და გაიარონ გასაუბრება. აღნიშნული პროცედურები დეტალურად არის წარმოდგენილი პროგრამის აღწერილობაში და შეესაბამება პროგრამაზე დაშვების ეროვნულ რეგულაციებს.

თუმცა, ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ნებადართულია პროგრამაზე ისეთი აბიტურიენტების მიღება, რომელბსაც არ გააჩნიათ ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაბამისი ცოდნა. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში ჩამოთვლილია ძირითადი კომპეტენციები (მაგალითად, პროგრამირება, ქსელური ტექნოლოგიები და ალგორითმები), გასაუბრების გარდა არ არის შემუშავებული აღნიშნული საბაზისო ცოდნის დადასტურების ან გაძლიერების დამატებითი მექანიზმები.

შესაბამისად, ზოგიერთ სტუდენტს შესაძლოა არ ჰქონდეს ძირითადი ტექნიკური უნარები, რომლებიც აუცილებელია გაძლიერებულ კურსებში სწავლის შედეგების მისაღწევად და პროგრამის დასაძლევად. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში არ არის შემუშავებული მოსამზადებელი ან საფუძვლების მოდული, რომელიც აღნიშნულ სტუდენტებს დაეხმარება დაძლიონ დარგობრივი სასწავლო კურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა: დაშვების წინაპირობები და გასაუბრების თემები;
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან;
- ვიზიტის დროს გამოვლენილი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს პროგრამაზე არასაკმარისი აკადემიური გამოცდილების და ცოდნის მქონე სტუდენტების დაშვებას;
- მოსამზადებელი მექანიზმების ან დიაგნოსტიკური ტესტირების არარსებობა.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაიხვეწოს დაშვების პროცედურები და დაემატოს ძირითადი ტექნიკური კომპეტენციების ობიექტური შეფასება, ელემენტარული დარგობრივი (კიბერუსაფრთხოება) მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

“კიბერუსაფრთხოების” სამაგისტრო პროგრამა მოიცავს კომპონენტებს, რომლებიც ავითარებენ როგორც კვლევით, ისე ტრანსფერულ უნარებს. სასწავლო გეგმა მოიცავს 25 კრედიტის მოცულობის კვლევით პროექტს, ხოლო პროგრამაში ჩამოთვლილია

მოსალოდნელი სწავლის შედეგები, რომლებიც დაკავშირებულია კვლევასთან, კრიტიკულ აზროვნებასთან, ეთიკურ ცნობიერებასთან და პროფესიულ კომუნიკაციასთან.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს, არ არსებობს ფორმალური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას აკადემიური პერსონალის და ინსტიტუციების მიერ განხორციელებულ კვლევით პროექტებში. ასევე, ხელმძღვანელების დატვირთვა (თითოეულ ხელმძღვანელზე 5-6 სტუდენტი) ზღუდავს ინდივიდუალიზებული კვლევითი მენტორობის შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სტრუქტურა: კვლევითი პროექტი (25 ECTS);
- სწავლის შედეგები, რომლებიც ავითარებენ ანალიზის, კონუმუნიკაციის და კვლევითი პროექტის განხორციელების უნარებს;
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებები: სტაჟირების ნაკლებობა, შეზღუდული გარე ჩართულობა;
- დოკუმენტირებული პარტნიორობის ან ინდუსტრიაზე დაფუძნებული პრაქტიკული მოდულების არარსებობა;
- მემორანდუმები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პერსონალიზებული კვლევითი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად შემცირდეს თითოეული ხელმძღვანელისთვის განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სტრუქტურირებულ პრაქტიკაში გამოყენებული იქნას CTF (Capture The Flag) ან სიმულაციის პლატფორმები;
- სასურველია, გაიზარდოს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გაფორმებული მემორანდუმების რაოდენობა.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში
	ია	ია	ია	ში

	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„ადაპტიური უსაფრთხოების სისტემების“ (არჩევითი) და „ქსელის უსაფრთხოების და კიბეროპერაციების“ (სავალდებულო კურსი) სასწავლო კურსებში ზოგადად წარმოდგენილია განსხვავებული სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები. სწავლების მეთოდები მოიცავს მიდგომებს და ტექნიკებს, რომლებიც გამოიყენება ცოდნის გადასაცემად და უნარების განსავითარებლად (განმარტებითი ლექციები, დემონსტრაციები, დისკუსიები, ჯგუფური მუშაობა და ელექტრონული რესურსების გამოყენება). შეფასების მეთოდები მოიცავს ინსტრუმენტებს და პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება სწავლის შედეგების შესაფასებლად, ანუ იმის გასაზომად, თუ რამდენად კარგად შეიძინა სტუდენტმა ცოდნა და განვითარა უნარები (ტესტები, პრეზენტაციები, პროექტები და პრაქტიკული დავალებები). თუმცა, ორივე კურსის სილაბუსში „სწავლება-სწავლის მეთოდების“ და „შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების“ ქვეშ წარმოდგენილია შემდეგი ჩამონათვალი:

- განმარტებითი მეთოდი;
- პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლის და დემონსტრაციის მეთოდი;
- სწავლა ელექტრონული რესურსების გამოყენებით;
- დისკუსიის/დებატების მეთოდი;
- ჯგუფური მუშაობის მეთოდი.

აღნიშნული ეწინააღმდეგება კიბერუსაფრთხოების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. წარმოდგენილი გამეორება მიუთითებს დაბნეულობაზე, ვინაიდან იდენტური მეთოდები ჩამოთვლილია როგორც სწავლების და შეფასების მეთოდები, რაც არასწორია აკადემიური სტანდარტების მიხედვით.

მაგალითად, განმარტებითი მეთოდი, სწავლა ელექტრონული რესურსების გამოყენებით და პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლა არის სწავლების მეთოდები. შესაბამისად, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს სწავლების და შეფასების მეთოდები. შეფასების მეთოდები უნდა მოიცავდეს ინსტრუმენტებს, რომლებიც ეფექტურად ზომავს სტუდენტების ცოდნის და უნარების დონეს.

სავალდებულო კურსებში, როგორცაა „ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება კიბერუსაფრთხოებისთვის“, „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვა“, „ქსელის უსაფრთხოება და კიბეროპერაციები“, „უსაფრთხოების არქიტექტურა“, ასევე არჩევით კურსებში, როგორცაა „ოპერაციული სისტემების უსაფრთხოება“, „პერსონალური მონაცემების დაცვა და კონფიდენციალურობა“, „რისკების მართვა“ და სხვ. ჩამოთვლილია იდენტური სწავლების მეთოდები:

- განმარტებითი მეთოდი;
- პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლის და დემონსტრაციის მეთოდი;
- სწავლა ელექტრონული რესურსების გამოყენებით;
- დისკუსიის/დებატების მეთოდი;
- ჯგუფური მუშაობის მეთოდი.

შესაბამისად, რეკომენდებულია, გამრავალფეროვნდეს თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები, რათა უკეთ აისახოს ინდივიდუალური საგნის უნიკალური მახასიათებლები და სპეციფიკური მოთხოვნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- სწავლების მეთოდები;
- კიბერუსაფრთხოების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, თითოეულ სასწავლო კურსში გამრავალფეროვნდეს სწავლება - სწავლის მეთოდები იმისათვის, რომ ასახოს კონკრეტული საგნის თემატიკის უნიკალური მახასიათებლები და სპეციფიკური მოთხოვნები, უზრუნველყოფილი იყოს სილაბუსებში აღნიშნული მეთოდების და შეფასების ინსტრუმენტების მკაფიოდ და განმასხვავებლად აღწერა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შემუშავებულია სტუდენტების შეფასების სისტემა, რომელიც მკაფიოდ არის აღწერილი და შეესაბამება უმაღლესი განათლების სტანდარტულ პრაქტიკას. შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სკალით, რომელიც მოიცავს დადებითი შეფასების ხუთ კატეგორიას (A-დან E-მდე) და უარყოფითი შეფასების ორ სახეს (FX და F). ასევე გათვალისწინებულია გადაბარების პროცედურები, რომელიც წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის. გაწერილია სანგუ -ს და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის შეფასების ექვივალენტობა, რაც ერთობლივი პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს სიცხადეს. სტუდენტების მიღწევების შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის წერიტი და ზეპირი გამოცდები, საშინაო დავალებები, პრაქტიკული სამუშაოები, პრეზენტაციები და პროექტები. ლექტორებს შესაძლებლობა აქვთ შეარჩიონ შეფასების მეთოდები, რომლებიც შეესაბამება თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. შეფასების კრიტერიუმები აღწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ონლაინ პლატფორმების და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემების მეშვეობით. სტუდენტებთან გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ ისინი იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს და პროცედურებს და იღებენ დროულ და კონსტრუქციულ უკუკავშირს. ვიზიტის ფარგლებში არ დაფიქსირებულა უკმაყოფილება ან შეუსაბამობა შეფასების გამჭვირვალობასთან ან სამართლიანობასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, შეფასების სისტემა სამართლიანი და გამჭვირვალეა. გარდა ამისა, სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტები ლექტორებისგან იღებენ უკუკავშირს

სწავლის შედეგების და ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. გასაუბრების ფარგლებში დადასტურდა, რომ სტუდენტებს აქვთ მჭიდრო კომუნიკაცია ლექტორებთან.

სტუდენტებთან განხორციელებული გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ისინი კარგად იცნობენ მიღებული შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს. ერთმა სტუდენტმა ექსპერტებს გაუზიარა თავისი გამოცდილება შედეგების გასაჩივრების თაობაზე. დადასტურდა, რომ აპელაციის პროცესი გამჭვირვალე, სამართლიანი და საიმედოა.

სტუდენტების ნამუშევრების შეფასება ეფუძნება აკადემიური კეთილსინდისიერების და კვლევის ეთიკის პრინციპებს. ყველა სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.

უნივერსიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პლაგიატის საკითხს. პლაგიატის შემოწმების პროცესში ჩართულია ბიბლიოთეკის დირექტორი და სპეციალისტი (“პლაგიატის გამოვლენი, პრევენციის და პლაგიატზე რეაგირების წესის” მე-5 მუხლი 5, მე-2 ნაწილი, “დ” ქვეპუნქტი). გასაუბრების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტს არ აქვს განსაზღვრული მსგავსების დაშვებული კონკრეტული პროცენტული ზღვარი, რაც გადამწყვეტია აღნიშნული დარგისთვის. შესაბამისად, რეკომენდებულია, განისაზღვროს მსგავსების დასაშვები პროცენტული ზღვარი, რაც უზრუნველყოფს ნაშრომის პლაგიატზე გადამოწმების პროცესის გამჭვირვალობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა: შეფასების სკალა და შეფასების სახეები;
- გასაუბრებები სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან;
- სასწავლო კურსების სილაბუსები, რომლებიც აზუსტებენ შეფასების განაწილებას;
- უნივერსიტეტის LMS სისტემა და კომუნიკაციის პრაქტიკის მიმოხილვა;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაგრძელდეს ინფორმაციის სისტემატური გავრცელება შეფასების კრიტერიუმების შესახებ სილაბუსების და საორიენტაციო შეხვედრების მეშვეობით;
- რეკომენდებულია, განხორციელდეს სხვადასხვა ლექტორების მიერ სტუდენტების შეფასების თანმიმდევრულობის მონიტორინგი, განსაკუთრებით იმ პირების, რომლებიც ახორციელებენ ერთობლივ სწავლებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა გამოიყენოს კოლეგიალური შეფასების და თვითშეფასების კომპონენტები, განსაკუთრებით ჯგუფური მუსაობისთვის და პრეზენტაციებისთვის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, ათვისების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი

იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ცხადად იკვეთება, რომ უნივერსიტეტში ხორციელდება სტუდენტთა ინფორმირებისა და მხარდაჭერის მექანიზმები. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების საუნივერსიტეტო გარემოში ინტეგრირებას.

უნივერსიტეტი რეალურად იცავს სტუდენტთა უფლებებსა და ლეგიტიმურ ინტერესებს, რაც ვიზიტის დროს სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებითაც დადასტურდა.

სასწავლო გეგმისა და სასწავლო პროცესის შესახებ სტუდენტებს ამომწურავ ინფორმაციას აწვდის როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალი. აღნიშნული ფაქტი დადასტურდა ვიზიტის დროს სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებითაც.

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი სტუდენტებს ეხმარება მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში. ისინი სტუდენტებს ასევე სთავაზობენ ინდივიდუალურ მხარდაჭერასაც სასწავლო პროცესის დაგეგმვის მიმართულებით.

სტუდენტთა კონსულტაციები ლექტორებთან ხორციელდება სპეციალურად განსაზღვრულ საათებში, რომელიც სილაბუსებშია მითითებული. აღნიშნული პრაქტიკა დადასტურდა როგორც აკადემიურ პერსონალთან, ისე სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებისას.

უნივერსიტეტი ატარებს დასაქმების ფორუმებსა და სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რომლებიც სტუდენტთა კარიერულ განვითარებას ემსახურება. დაწესებულებაში ფუნქციონირებს დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამმართველო, რომელიც თანამშრომლობს დამსაქმებლებთან და ორგანიზებას უწევს დამსაქმებელთა მოწვევას, გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებსა და შეხვედრებს, ასევე დასაქმების ფორუმებს.

უნივერსიტეტი მაქსიმალურად უწყობს ხელს სტუდენტთა მონაწილეობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებსა და სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, რომლებიც სასწავლო პროგრამების ფარგლებში ხორციელდება. სტუდენტებს აქტიურად მიეწოდებათ ინფორმაცია აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ უნივერსიტეტის ვებგვერდის, სოციალური ქსელებისა და უშუალო პირადი კომუნიკაციის საშუალებით. უნივერსიტეტი მონაწილეობს Erasmus+ პროგრამაში და მრავალ ქვეყანაში ჰყავს პარტნიორი უნივერსიტეტები, რაც სტუდენტებს უცხოეთში სწავლისა და საერთაშორისო გამოცდილების მიღების შესაძლებლობას აძლევს.

როგორც ადგილზე ვიზიტის დროს იხილა ექსპერტთა ჯგუფმა, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია თანამედროვე ვირტუალური პლატფორმა, რომელზეც განთავსებულია არამხოლოდ კონკრეტული კურსების მასალები, არამედ დამატებითი სასწავლო რესურსებიც, რომლებიც მოწოდებულია პარტნიორი დაწესებულების - ჩრდილოეთ კენტაკის უნივერსიტეტის (NKU, აშშ) - მიერ.

სტუდენტური სერვისების ფარგლებში აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტებს წვდომა აქვთ როგორც ადგილობრივ, ისე პარტნიორი უნივერსიტეტების სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე. ეს უმნიშვნელოვანესია საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დაწესებულების სტუდენტებს სრული წვდომა აქვთ ჩრდილოეთ კენტაკის უნივერსიტეტის (NKU) აკადემიურ რესურსებზე.

დაწესებულება ხელს უწყობს აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებასა და მრავალფეროვან აქტივობებს სხვადასხვა ინიციატივების მეშვეობით. როგორც ვიზიტის დროსაც დადასტურდა, სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ხორციელდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომლებიც მრავალფეროვანია და მაქსიმალურადაა მორგებული სტუდენტთა ინტერესებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტებთან და პერსონალთან ჩატარებული გასაუბრება.
- კონსულტაციის პროცედურები და ხელმძღვანელების დანიშვნა
- კვლევითი პროექტის ხელმძღვანელობის მოდელი (როგორც პროგრამაშია აღწერილი)
- სტუდენტების კვლევით ან საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ფორმალური სტრუქტურების არარსებობა
- ვებგვერდი
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ტექნოლოგიურ კომპანიებთან და სამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გაძლიერდეს კარიერული განვითარების მხარდაჭერის და დასაქმების ხელშეწყობის სერვისები;
- სასურველია, უნივერსიტეტმა სასწავლო კურსებთან ერთად განახორციელოს პრაქტიკული ვორკშოპები ან ბუთკემფები (მაგალითად, პენეტრაციის ტესტირება, ციფრული ექსპერტიზა);

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის მართვის მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც მოიცავს კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) მომზადებისა და დაცვის მკაფიო წესებს.

კიბერუსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებისთვის ზოგადად ქმნის მხარდამჭერის სულისკვეთებით გამსჭვალულ გარემოს. აკადემიური პერსონალი ხელმისაწვდომია და სტუდენტებს შეუძლიათ კონსულტაციების მიღება როგორც აკადემიური დაგეგმვის, ისე ნაშრომის ხელმძღვანელობისა და კურსებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევის პროცედურებისა და მათი უფლებების შესახებ. ნაშრომის თემის სპეციფიკისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, სტუდენტებს ასევე აქვთ თანახელმძღვანელის ყოლის უფლება. აღნიშნულ პრაქტიკას, უნივერსიტეტი სრულად უჭერს მხარს და მის შესახებ სტუდენტებიც ინფორმირებულნი არიან.

ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების და პროგრამის დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ აკადემიური პერსონალი სტუდენტების მიმართ მხარდამჭერით გამოირჩევა და ხელმისაწვდომია კონსულტაციებისათვის.

სტუდენტები რეგულარულად მართავენ კონსულტაციებს თავიანთ ხელმძღვანელებთან. ხელმძღვანელები ნათლად ასრულებენ ნაშრომის პროექტის

მართვასთან დაკავშირებით არსებულ პასუხისმგებლობებს და აქტიურად არიან ჩართული კვლევის დიზაინისა და მეთოდოლოგიის შემუშავებაში. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის სამეცნიერო პუბლიკაციებსა და სხვადასხვა კვლევით პროექტებში.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების საქმიანობის შესაფასებლად და გასაუმჯობესებლად, უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტური გამოკითხვის შედეგებს, რომელიც სპეციალურად აფასებს ხელმძღვანელთა ჩართულობას კვლევით პროცესში. უნივერსიტეტი აგროვებს და ინახავს სტუდენტური უკუკავშირის მონაცემებს, რომელიც ასახავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა საქმიანობის შეფასებებს.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, ხელმძღვანელები რეგულარულ კონსულტაციებს მართავენ სტუდენტებთან, როგორც ეს სასწავლო კურსის სილაბუსშია გაწერილი. აღნიშნული კონსულტაციები შეესაბამება როგორც საგანმანათლებლო პროგრამის, ისე საკვლევი თემის სპეციფიკას.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები შესაძლებელია იყვნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორები, ასევე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ასოცირებული პროფესორები და მოწვეული ლექტორები. რეგულაციების თანახმად, ერთ ხელმძღვანელი ერთი სემესტრის განმავლობაში არ უნდა ხელმძღვანელობდეს ხუთზე მეტ სამაგისტრო ნაშრომს. მარეგულირებელი ჩარჩო ასევე მკაფიოდ განსაზღვრავს ხელმძღვანელების როლებსა და პასუხისმგებლობებს, რომელიც მოიცავს აკადემიურ და მენტორობის ფუნქციებსაც.

სტუდენტებს ასევე შეუძლიათ იმუშაონ ჯგუფურ სამაგისტრო ნაშრომებზე, თუმცა გაურკვეველია, როგორ ხდება თითოეული სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება. ჯგუფურ ნაშრომებში თითოეულ სტუდენტს გააჩნია საკუთარი პასუხისმგებლობები და გეგმა, რათა თეორიულად, სამუშაო თანაბრად იყოს გადანაწილებული. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების უმრავლესობა ჯგუფურად არის შესრულებული, თუმცა გაურკვეველია, როგორ განისაზღვრება და ფასდება თითოეული სტუდენტის წვლილი ნაშრომის შემუშავებაში.

„სამაგისტრო პროექტის“ სილაბუსის მიხედვით, ბოლო სემესტრის დასაწყისში სტუდენტები ჯგუფებად იყოფიან. თითოეულ ჯგუფისათვის განისაზღვრება ხელმძღვანელი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ჯგუფის მუშაობას. თუმცა, ერთ-ერთი სამაგისტრო ნაშრომი ინდივიდუალურად იყო შესრულებული. სილაბუსში არ არის ნახსენები სამაგისტრო ნაშრომის ინდივიდუალურად შესრულების შესაძლებლობა. შესაბამისად, აუცილებელია, რომ დოკუმენტის ეს ნაწილი დაზუსტდეს.

გაურკვეველია, თუ როგორ დგინდება აქვთ თუ არა თითოეულ სტუდენტებს თანაბარი დატვირთვა, აღწევნ თუ არა მსგავს შედეგებს და ფასდებიან თუ არა ინდივიდუალური დატვირთვის გათვალისწინებით.

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, გარდა სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო უმაღლესი სპეციალობისა, არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ სწავლებისაგან. ის აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ ისეთი კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას ან ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელთა საფუძველზედაც ის შეძლებს სამაგისტრო ნაშრომის ან/და პროექტის წარდგენას, მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის თავისებურებების გათვალისწინებით.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	10
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	30
თანაფარდობა	1:3

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგები
- პროგრამის დოკუმენტაცია, რომელიც აღწერს კვლევით კომპონენტს
- მიგნებები სტუდენტთა და ხელმძღვანელთა განაწილების შესახებ
- ხელმძღვანელობის სახელმძღვანელოების ან საქმიანობის მონიტორინგის ინსტრუმენტების არარსებობა
- ვებ-გვერდი
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომი შესრულდეს ინდივიდუალურად იმისათვის, რომ შექმნილი ცოდნა და უნარები იყოს რეალისტური, გაზომვადი და შეფასებადი ინდივიდუალური მიდგომების გამყენებით, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს დამოუკიდებლად ჩაატარონ კვლევა და მიიღონ სათანადო შეფასება;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მათთან მუშაობა მიღწევები, ინდივიდუალური	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და

ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
 - პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
-

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კიბერუსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის საკმარისი რაოდენობით. არსებული რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტურ განხორციელებასა და მისი პროცესების მდგრადობას. მიუხედავად ამისა, რამდენიმე კრიტიკული ასპექტი დამატებით ყურადღებასა და ანალიზს მოითხოვს:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია და კომპეტენცია

აკადემიური პერსონალი, განსაკუთრებით ქართული მხარე, ძირითადად ფლობს დარგისთვის საჭირო საბაზისო კვალიფიკაციას, რაც დასტურდება სხვადასხვა სერტიფიკატებითა და ტრენინგებში მონაწილეობით. თუმცადა, კიბერუსაფრთხოების სფეროს სწრაფი განვითარებიდან გამომდინარე, აღნიშნული სერტიფიკატების დიდი ნაწილი მოძველებულია და არ არსებობს იმის საკმარისი მტკიცებულება, რომ ზოგიერთი აკადემიური პერსონალი ფლობს თანამედროვე უნარებსა და ტექნიკებს, რომელიც საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. სასურველია, პროგრამაში მეტი ახალგაზრდა, დოქტორის ხარისხის მქონე, პროფესიონალის ჩართვა.

სამეცნიერო თვალსაზრისით, შესამჩნევია აკადემიური პერსონალის ნაკლები მონაწილეობა ისეთ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, ფორუმებსა და სიმპოზიუმებში, რომლებიც დარგთან არის დაკავშირებული. დამატებით, ნათლად იკვეთება სამეცნიერო პროდუქტიულობის ნაკლებობა: პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორის უკანასკნელი პუბლიკაცია 2013 წლით თარიღდება, ხოლო პროგრამაში ჩართული ასოცირებული პროფესორისა კი, 2018 წლით. პარტნიორი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო საქმიანობაში, რაც გამოიხატება მათი წევრობით პროფესიულ ორგანიზაციებსა და ქსელებში, ასევე მათი ამჟამინდელი სამეცნიერო კონტრიბუციებით.

აღსანიშნავია, რომ ქართული მხარის მიერ მოწვეული პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენელი, ძირითადად აკადემიური პერსონალზე უფრო მაღალი ექსპერტიზითა და პრაქტიკული გამოცდილებით გამოირჩევა, მათ შორის სამეცნიერო

თვალსაზრისითაც. თუმცა ისინი არ არიან უნივერსიტეტთან აფილირებული. შესაბამისად, მათი სამეცნიერო მიღწევები სხვა უნივერსიტეტებს ეკუთვნით. ამის გათვალისწინებით, მოწვეული პერსონალის სიაში მყოფმა პირებმა უნდა მიიღონ აკადემიური პერსონალის სტატუსი. გარდა ამისა, გამოწვევას წარმოადგენს ენობრივი კომპეტენციის, განსაკუთრებით ინგლისური ენის ფლობის საკითხი. გარკვეულ შემთხვევებში, აკადემიური პერსონალის ნაწილმა ვერ შეძლო ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრისას ეფექტური კომუნიკაციის დამყარება. დოკუმენტაციის განხილვამ ასევე აჩვენა, რომ მიწოდებულ მასალებში განსაზღვრულია აფილირების წესები და პირობები, აკადემიური პერსონალის უმრავლესობას არ ჰქონდა აღნიშნული რეგულაციების შესახებ ინფორმაცია.

პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, ზოგადად, საკმარისია საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისათვის. დატვირთვის განაწილება გონივრულად დაბალანსებულად გამოიყურება. ისეთი რაოდენობრივი მაჩვენებლები, როგორცაა სტუდენტებისა და პერსონალის თანაფარდობა და სასწავლო საათების რაოდენობა, ძირითადად საკმარისია პროგრამის მდგრადობის მხარდასაჭერად და ხარისხის სტანდარტების შესანარჩუნებლად.

პროგრამის ხელმძღვანელები

პროგრამის ხელმძღვანელებთან მიმართებით შეშფოთების რამდენიმე მიზეზი გამოიკვეთა. პროგრამის ხელმძღვანელებმა ვერ გამოავლინეს ვერც სათანადო ცოდნა პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ და ვერც ის, რომ კარგად იცნობდნენ სასწავლო გეგმის სრულ სტრუქტურას. პროგრამის ქართველი ხელმძღვანელის შემთხვევაში, დროდადრო ადგილი ჰქონდა ენობრივ ბარიერს, ხოლო პარტნიორი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ვერ შეძლო პროგრამის სტრუქტურის მკაფიოდ ჩამოყალიბება. აღნიშნული საკითხები ხაზს უსვამს სათანადო კომპეტენციების მიზნობრივი განვითარების საჭიროებას, საუნივერსიტეტო დონეზე მხადაჭერით, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამის ეფექტური ხელმძღვანელობა და მისი მიზნების მიღწევა.

ადმინისტრაციული და მხარდაჭერი პერსონალი

ექსპერტების მიერ სტუდენტებთან გამართული შეხვედრების საფუძველზე ცხადი გახდა, რომ კიბერუსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამას მხარს უჭერს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკმარისი რაოდენობა. აღნიშნულ პირებს გააჩნიათ საჭირო უნარები, რათა მხარი დაუჭირონ როგორც აკადემიურ, ისე ორგანიზაციულ და ყოველდღიურ საჭიროებებს. ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებაში, ეხმარებიან რა სტუდენტებს, სთავაზობენ კონსულტაციებს და ქმნიან პოზიტიური და მხარდაჭერის სულისკვეთებით გამსჭვალულ სასწავლო გარემოს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	11	11	6	4
- პროფესორი	2	2	2	1
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	0	1
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	6	6	2	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები (CV);
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები;
- სასწავლო პროცესში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა;
- აკადემიური პერსონალის ხელშეკრულება;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა კვლევით აქტივობებში და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის გაზრდით და რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებით;
- რეკომენდებულია, ინსტიტუციურ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობის მიზნით, ეფექტურად განხორციელდეს აფილირების პროცედურები;

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაუმჯობესდეს ინგლისური ენის კომპეტენცია კომუნიკაციის გასაძლიერებლად, განსაკუთრებით საერთაშორისო და თანამშრომლობით კონტექსტში;

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კიბერუსაფრთხოების პროგრამაზე ხელმძღვანელების ორივე პარტნიორი დაწესებულების პერსონალიდან დანიშვნა აჩვენებს აკადემიური და კვლევითი კვალიფიკაციების მრავალფეროვნებას, ასევე დარგთან შესაბამისობას. ხელმძღვანელთა უმეტესობას, ორივე პარტნიორი ინსტიტუციიდან, გააჩნია საჭირო აკადემიური კვალიფიკაცია, რაც ქმნის მყარ საფუძველს სტუდენტთა ეფექტური ხელმძღვანელობისთვის. თუმცა აღინიშნა, რომ პირველი ნაკადის სტუდენტების ხელმძღვანელობაში მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ხელმძღვანელები იყვნენ აქტიურად ჩართულები, რომელთაგან ზოგიერთი ხუთზე მეტ სტუდენტს ხელმძღვანელობდა. თანამშრომლობითი სამაგისტრო ნაშრომების კონცეფცია სამომავლოდ განსახილველ საკითხად რჩება. გარდა ამისა, წარმოდგენილი მოკლე ბიოგრაფიების საფუძველზე რეკომენდებულია ხელმძღვანელთა მიმდინარე კვლევით აქტივობებში ჩართულობის გაძლიერება და კიბერუსაფრთხოების სფეროში არსებულ თანამედროვე ტენდენციებთან უფრო მჭიდრო თანხვედრის უზრუნველყოფა.

პარტნიორი უნივერსიტეტის ხელმძღვანელები მეტად არიან ჩართული კვლევით აქტივობებში, რაც დასტურდება მათი ბოლო პუბლიკაციებითა და პროფესიულ ასოციაციებში ჩართულობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, სტუდენტების ნაწილს საშუალება აქვს ისარგებლოს ძლიერი და თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული ხელმძღვანელობით, თუმცა ამ თვალსაზრისით სასარგებლო იქნებოდა თანმიმდევრულობის ურუნველყოფა სრულიად პროგრამის მასშტაბით.

გამოირჩევიან ძლიერი პრაქტიკული გამოცდილების მქონე მოწვეული პერსონალის ჩართულობა, პროგრამისთვის მნიშვნელოვან დამატებით ღირებულებას წარმოადგენს, განსაკუთრებით გამოყენებითი კვლევის მხარდაჭერის კუთხით. ხელმძღვანელობის პროცესში მათი როლის გაფართოება კიდევ უფრო გაამდიდრებდა სტუდენტთა სწავლისა და კვლევით შედეგებს.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	11	6	3
- პროფესორი	2	2	1
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი	1	0	0
მოწვეული პერსონალი	6	2	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კურსდამთავრებულებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგები;
- ხელმძღვანელების CV-ები;
- პუბლიკაციების ბმულები;
- სამაგისტრო ნაშრომები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომებს ხელმძღვანელობდნენ დოქტორის ხარისხის მქონე კანდიდატები. ასევე, უნივერსიტეტმა უნდა გამოიყენოს პარტნიორი უნივერსიტეტის პოტენციური და თანახელმძღვანელებად შერჩეულ იქნეს შესაბამისი პროფესიული გამოცდილების მქონე მოწვეული პერსონალი;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტსა (SANGU) და ჩრდილოეთ კენტაკის უნივერსიტეტს (NKU, აშშ) შორის თანამშრომლობის ფარგლებში, მიმდინარე წელს ჩატარდა თბილისის კიბერუსაფრთხოების პირველი საერთაშორისო კონფერენცია (https://sangu.edu.ge/index.php?m=374&news_id=1631&lng=eng). ღონისძიებაში

ჩართულები იყვნენ მონაწილეები ორივე პარტნიორი ქვეყნიდან, ასევე კერძო სექტორიდანაც, რამაც ნათლად წარმოაჩინა კვლევითი პოტენციალის გაძლიერებისა და აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით ძალისხმევა.

პროგრამის თითოეული პერსონალის აქტიური ჩართულობით, მსგავსი ინიციატივები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამაზე უფრო დინამიური და თანამედროვე კვლევითი გარემოს ჩამოყალიბებას.

ინტერვიუების დროს ცხადი გახდა, რომ უნივერსიტეტი მხარს უჭერს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. აღნიშნული მხარდაჭერა მკაფიოდ არის ასახული ძირითად ინსტიტუციურ დოკუმენტებში, მათ შორის უნივერსიტეტის მისიასა და თვითშეფასების ანგარიშში, რომლებიც ხაზს უსვამენ უწყვეტი სწავლების, კვლევითი განვითარებისა და აკადემიური ზრდის მნიშვნელობას. უნივერსიტეტის ღიაობა პერსონალის მიერ ინიცირებული პროფესიული განვითარების ინიციატივებისადმი პროგრესულ და მხარდაჭერის სულისკვეთებით გამსჭვალული აკადემიური კულტურაზე მიუთითებს.

გარდა ამისა, პერსონალმა მადლიერება გამოხატა არსებულ შესაძლებლობებთან და ასევე ახალი იდეებისა და ინიციატივების განხილვის მიმართულებით ინსტიტუციურ მზაობასთან დაკავშირებით. აღნიშნული მიუთითებს წამახალისებელ გარემოზე, სადაც ინოვაცია და პროფესიული განვითარება დაფასებულია.

თუმცა ასევე აღინიშნა, რომ არსებობს კომუნიკაციისა და სიცხადის გაუმჯობესების საჭიროება იმ აქტივობებისა და კვლევითი ინიციატივების შესახებ, რომლებიც ინსტიტუციურ მხარდაჭერას ექვემდებარებიან. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი დოკუმენტი არსებობს, პერსონალის ნაწილს კვლავ სჭირდება უფრო კონკრეტული მითითებები და მაგალითები, რათა საკუთარი წინადადებები მეტად მოიყვანონ შესაბამისობაში უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. სემინარების ჩატარება, მკაფიო ინფორმაციისა და პრაქტიკული რჩევების მიწოდება, ხელს შეუწყობდა პერსონალს მხარდაჭერის არსებული შესაძლებლობების უკეთ გააზრებაში და მეტ ჩართულობას უზრუნველყოფდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- გასაუბრების შედეგები;
- ადგილზე ვიზიტი;
- ვებგვერდზე ხელმისაწვდომი კონფერენციის მასალები;
- უნივერსიტეტის მისია;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა რეგულარულად ჩაატაროს საორიენტაციო და საინფორმაციო შეხვედრები შიდა რეგულაციების და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ;

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის სფეროსთან შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და საინფორმაციო რესურსებით, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

დაწესებულების ორივე სასწავლო კორპუსი სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული ინფრასტრუქტურით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მაღალი სიჩქარის, სანდო ინტერნეტს ორმაგი პროვაიდერის მეშვეობით, ავტომატური დატვირთვის დაბალანსებით, რაც უზრუნველყოფს შეუფერხებელ კავშირს. ქსელის უსაფრთხოება დაცულია Kerio Control-ის firewall-ისა და Bitdefender-ის მსგავსი ანტივირუსული სისტემებით.

სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია ხუთი სრულად აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია მართვის ცენტრალიზებული სისტემებით, ვირტუალური სერვერები რესურსების სათანადო განაწილებისათვის და 28 დამატებითი კომპიუტერი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რომელიც მუშაობს Zero Client სისტემებზე. თითოეული ტექნიკური რესურსი მხარდაჭერილია Microsoft-ისა და Google-ის ლიცენზირებული საგანმანათლებლო ინსტრუმენტებით, რომელთა შორისაცაა Office 365, Microsoft Azure და JetBrains-ის აკადემიური პროგრამული პაკეტები. აღნიშნული პროგრამები განსაკუთრებით სასარგებლოა კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული სწავლებისა და კვლევისათვის.

ბიბლიოთეკა სრულად არის აღჭურვილი საჭირო სასწავლო წიგნებითა და პრაქტიკული მასალებით, როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ ფორმატში. გარდა ამისა, სტუდენტებს გააჩნიათ წვდომა ჩრდილოეთ კენტაკის უნივერსიტეტის რესურსებზე, რაც კიდევ უფრო ამდიდრებს პროგრამის აკადემიურ მხარდაჭერას.

დაწესებულების მეორე კორპუსში განთავსებულია საგამოცდო დარბაზი, რომელიც გათვლილია 200 სტუდენტზე და აღჭურვილია მაღალი გარჩევადობის ვიდეო-დაკვირვებისა და ელექტრონული დასწრების სისტემებით. კორპუსში ასევე მდებარეობს ხუთი კომპიუტერული ლაბორატორია, რომლებიც ცენტრალიზებულად იმართება კომპიუტერული მართვის სისტემის საშუალებით.

სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, მათ შორის დიდი მონიტორებით, პროექტორებით, კომპიუტერებით, სმარტ-დაფებითა და სხვა საჭირო მოწყობილობებით.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი ადაპტირებული და ინკლუზიურია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებს სთავაზობს სათანადო ინფრასტრუქტურას და ასევე ადგილზეა სახანძრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის საიმედო სისტემები. სივრცეები, როგორცაა ვიდეო-დაკვირვებისა და ელექტრონული დასწრების სისტემებით აღჭურვილი საგამოცდო დარბაზი და სმარტ-აუდიტორიები, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ზოგად აკადემიურ გარემოს და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადგილზე ვიზიტი;
- ლაბორატორიები და ვირტუალური ინფრასტრუქტურა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები;
- წვდომა წამყვან დარგობრივ მონაცემთა ბაზებსა და მასალებზე, რომელიც უზრუნველყოფილია ჩრდილოეთ კენტაკის უნივერსიტეტის (NKU, აშშ) მიერ.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიუჯეტის დოკუმენტი ხარჯების კატეგორიზაციისა და აღწერის ნაწილში გამოირჩევა მაღალი დეტალიზაციითა და გამჭვირვალობით. იგი სისტემატურად ასახავს ყველა ძირითად და მეორეხარისხოვან ხარჯს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსური სტრუქტურის სრულყოფილ მიმოხილვას, კონკრეტული თანხების მითითების გარეშე.

ბიუჯეტის დოკუმენტში მოცემულია გამჭვირვალე და სტრუქტურირებული ინფორმაცია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ. აღნიშნული მკაფიოდ ასახავს უნივერსიტეტის მზაობას საკუთარი ბიუჯეტით დაუჭიროს მხარი პროგრამას, რაც უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების ეკონომიკურ მიღწევადობასა და ინსტიტუციურ პრიორიტეტებთან შესაბამისობას.

მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტი მოიცავს სპეციფიურ თანხებს სამეცნიერო კვლევითი აქტივობების, კვლევითი გრანტებისა და კვლევითი პროექტებისთვისათვის. აღნიშნული ასახულია ბიუჯეტის სხვადასხვა ნაწილში და მოიცავს საუნივერსიტეტო გრანტებს, კვლევითი გრანტების თანადაფინანსებას, სამეცნიერო ცენტრებისთვის გამოყოფილ დაფინანსებას, სამეცნიერო კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზების ხარჯებს, კვლევითი აღჭურვილობისა და მასალების შეძენასა და აკადემიური პუბლიკაციების მხარდაჭერას. ეს მიუთითებს ინსტიტუციის მზაობაზე,

ხელი შეუწყოს კვლევას და მხარი დაუჭიროს როგორც მიმდინარე, ისე ახალ სამეცნიერო ინიციატივებს.

დოკუმენტი ასევე მოიცავს როგორც ფიქსირებული, ისე არაფიქსირებული ხელფასის მქონე პერსონალის ანაზღაურებას, რომელიც მოიცავს აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, აგრეთვე ნაშრომის ხელმძღვანელების, რეცენზენტებისა და ასისტენტების ანაზღაურებას.

პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტის ძირითადი მახასიათებლებია:

საქონელი და მომსახურება: მოიცავს ხარჯებს გარე სერვისებისთვის, საოფისე და კომუნალურ ხარჯებს, კომუნიკაციისა და ინტერნეტის გადასახადებს, ტექნიკურ მომსახურებას და ისეთ წარმომადგენლობით ხარჯებს, როგორცაა ღონისძიებები და მიღებები.

აკადემიური და კვლევითი მხარდაჭერა: მოიცავს საგანმანათლებლო მასალების, მთარგმნელობითი მომსახურების, საუნივერსიტეტო გრანტების, პრაქტიკული კურსების, პროფესიულ განვითარების, სამეცნიერო აღჭურვილობისა და პუბლიკაციების, ასევე კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზების ხარჯებს.

მგზავრობა და მობილობა: მოიცავს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო მოგზაურობებისთვის საჭირო რესურსებს, აკადემიური თანამშრომლობისა და მობილობის მხარდასაჭერად.

დაუფეგმავი და სხვა ხარჯები: უზრუნველყოფს გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფინანსებას, ასევე სტუდენტური თვითმმართველობისა და პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

არაფინანსური აქტივები: მოიცავს ქონების, აღჭურვილობის, საოფისე და ლაბორატორიული ინვენტარისა და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენასა და მოვლას.

თითოეული ხარჯი კატეგორიზებულია და, საჭიროების შემთხვევაში, ქვექვეკატეგორიზებულიც (მაგალითად, პერსონალის ტიპის ან აქტივობის მიხედვით), რაც უზრუნველყოფს სიცხადეს და ხელს უწყობს ფინანსური მონიტორინგისა და ანგარიშგების ეფექტიანობას.

საერთო ჯამში, ბიუჯეტის დოკუმენტი საკმაოდ დეტალიზებულია, მოიცავს პროგრამის საოპერაციო, პერსონალის, აკადემიური საქმიანობის, ინფრასტრუქტურისა და მხარდაჭერი სერვისების ყველა ასპექტს. ასეთი დეტალიზება ხელს უწყობს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და ინფორმირებულ გადაწყვეტილებების მიღებას ფინანსურ მენეჯმენტში.

ბიუჯეტი დეტალურად ასახავს პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროებს, რომელშიც შედის პერიოდული (განმეორებითი) და ერთჯერადი დაფინანსების წყაროები. აღნიშნულ წყაროებში შედის სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტები,

საუნივერსიტეტო გრანტები, სწავლის გადასახადი, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი და სხვა შესაბამისი კატეგორიები. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობასა და მოქნილობას მისი განხორციელების პროცესში.

საერთო ჯამში, ბიუჯეტი სრულყოფილად მოიცავს ყველა ძირითად კომპონენტს, რომელიც საჭიროა პროგრამის ეფექტური ფუნქციონირების, აკადემიური განვითარებისა და კვლევითი წინსვლისათვის. დეტალიზაციის დონე და ფინანსური მხარდაჭერის კონკრეტული მექანიზმების გათვალისწინება ხაზს უსვამს პროგრამის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობასა და უნივერსიტეტის სტრატეგიულ ინვესტიციას მის წარმატებაში. გარდა ამისა, როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის საჭიროებების უზრუნველსაყოფად შესაძლებელია თანხების გადანაწილება სკოლის ბიუჯეტიდან. ეს პროგრამას დამატებით მოქნილობას ანიჭებს და უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტურ რეაგირებას გაუთვალისწინებელ ფინანსურ საჭიროებებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტი
- სკოლის ბიუჯეტის დოკუმენტი
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის / სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სანგუში საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა თანამშრომლობითი და სისტემური პროცესის მეშვეობით ხორციელდება. შიდა ხარისხის შეფასების მოცემული მექანიზმების მთავარი მიზანია უნივერსიტეტში ხარისხის ძლიერი კულტურის განმტკიცება.

პროგრამის განხორციელების შიდა შეფასება აქტიურად მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის ჩართულობას, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურთან თანამშრომლობით. ეს პარტნიორობა მოიცავს კომპლექსურ აქტივობებს, მათ შორის პროგრამის განხორციელების

შეფასებას, სწავლის შედეგების შეფასებას, შეფასების პროცედურების დაგეგმვასა და განხორციელებას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და შეფასებების ადმინისტრირებას.

ამ პროცესში ჩართული პერსონალი უზრუნველყოფს, შესაბამისი ინსტრუმენტებით მიღებული მონაცემების ეფექტურად გამოყენებას პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების პროცესში. აღნიშნული შედეგები პერსონალს შესაძლებლობას აძლევს დახვეწოს პედაგოგიური მიდგომები და გააუმჯობესოს განათლების ხარისხი.

დოკუმენტის თანახმად, ხარისხის შეფასება გამოიყენება როგორც კვლევის, ანალიზისა და შესაბამისი კვლევითი მეთოდოლოგიებით დასაბუთებული რეკომენდაციების ჩამოყალიბების ინსტრუმენტი. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს უნივერსიტეტის საქმიანობის უწყვეტ განვითარებასა და გაუმჯობესებას.

გარდა ამისა, უნივერსიტეტს გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ცალკეული მარეგულირებელი დოკუმენტი, სახელად დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლებსა და პასუხისმგებლობებს პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირდა, რომ გამოკითხვის ინსტრუმენტების, კვლევის შედეგების, შიდა შეფასებებისა და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაციის ფრაგმენტულად წარმოდგენა ართულებს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის სისტემის სრულყოფილად გააზრებასა და ეფექტურ მართვას.

შესაბამისად, სანგუსთვის აუცილებელია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ყოვლისმომცველი დოკუმენტის შემუშავება, რომელშიც ინტერგრირებული იქნება ხარისხთან დაკავშირებულ ყველა აქტივობა, შეამცირებს დუბლირებას და უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მკაფიო და თანმიმდევრულ გზამკვლეობას.

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტისა (SANGU) და ჩრდილოეთ კენტაკის უნივერსიტეტის (NKU) კიბერუსაფრთხოების ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას გააჩნია ხარისხის უზრუნველყოფის ყოვლისმომცველი და კარგად სტრუქტურირებული სისტემა, რომელიც შეესაბამება აკრედიტაციის ქართულ და ამერიკულ სტანდარტებს. აღნიშნული სისტემა მოიცავს უწყვეტ მონიტორინგს საკვანძო შეფასებების გამოყენებით, მონაცემთა რეგულარულ შეგროვებასა და ანალიზს, ასევე თანამშრომლობით მართვას ორ დაწესებულებას შორის, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო ჩარჩოებთან შესაბამისობას.

თანამშრომლობა ფორმალიზებულია სასწავლო გეგმის ერთობლივი შემუშავებით, აკადემიური პერსონალის გაცვლით (მათ შორის NKU-ს პროფესორების ვიზიტებით სანგუსში), სტუდენტთა ერთობლივი შეფასებებითა და მობილობის

შესაძლებლობებით, რაც ერთობლიობაში აძლიერებს პროგრამის აკადემიურ სიღრმესა და შესაბამისობას. ორივე უნივერსიტეტი აქტიურად ინარჩუნებს კომუნიკაციასა და კოორდინაციას ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობებში, რასაც მხარს უჭერს შეფასების, ანგარიშგებისა და გაუმჯობესების ციკლების დოკუმენტირებული პროცესები.

თუმცა, ამ პარტნიორობიდან მაქსიმალური სარგებელის მისაღებად, სასურველია კიდევ უფრო გაძლიერდეს აქტიური და უწყვეტი თანამშრომლობა ხარისხის ერთობლივი უზრუნველყოფის მიმართულებით, რაც მოიცავს შეფასების პრაქტიკების ჰარმონიზებასა და უკუკავშირის უფრო ხშირ და გამჭვირვალე გაზიარებას. ეს შესაძლებელს გახდის გამოვლენილ საკითხებზე უფრო მოქნილ რეაგირებას და ხარისხის კულტურის ღრმა ინტეგრაციას ორივე კამპუსზე.

საერთო ჯამში, პარტნიორობაში ცხადად იკვეთება ხარისხის უზრუნველყოფის ძლიერი ჩარჩოს არსებობა, თუმცა კოორდინირებული ხარისხის უზრუნველყოფის უფრო დინამიური და კოორდინირებული პრაქტიკების გაძლიერება ხელს შეუწყობს პროგრამის მაღალი ხარისხის შენარჩუნებასა და კიდევ უფრო განვითარებას.

დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ რექტორმა გასცა მითითებები სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებაზე იქნებიან პასუხისმგებლები. აღნიშნული ბრძანებები განსაზღვრავს, რომ თითოეულმა პროგრამამ უნდა გაიაროს დამოუკიდებელი თვითშეფასება და უნდა ჩამოყალიბდეს დარგობრივად სპეციალიზებული საბჭოები.

მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ პროგრამის სამუშაო ჯგუფების ოქმები. მხოლოდ ერთ ოქმში ფიქსირდება, რომ სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა მხოლოდ პროგრამის პერსონალისა და ადმინისტრაციისაგან, ურთიერთობდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ეს მიუთითებს, რომ სტუდენტები დარგობრივ საბჭოებში ფორმალურად არ არიან წარმოდგენილი.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამს თვითშეფასების პროცესში სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობის აუცილებლობას. მიუხედავად გარკვეული საკამათო მოსაზრებებისა, ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ აღნიშნული დაინტერესებული მხარეები სათანადოდ არ იყვნენ წარმოდგენილები თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში. მათი ჩართულობა შესაძლებელს გახდის უფრო კრიტიკული, რეფლექსიური და ყოვლისმომცველი შეფასების განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გამოავლინა გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საჭიროება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ გუნდებს შორის თანამშრომლობის თვალსაზრისით. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი სრულად ვერ იაზრებდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კრიტიკულ როლს. პარალელურად, ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახური ნაკლებად ჩანდა ინფორმირებული იმ ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული. ეს მიუთითებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან საჭიროებაზე, ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიო პროტოკოლები და სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ეფექტურ კომუნიკაციას და დაადგენს მკაფიო მოლოდინებს აღნიშნულ ერთეულებს შორის.

სანგუს მიერ შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო, რომელიც ეფუძნება ფართოდ აღიარებულ „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“ (PDCA) ციკლს. აღნიშნული ჩარჩო მხარს უჭერს ხარისხის შეფასების მკაცრ მექანიზმებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, ისე მათი უწყვეტი განვითარების ეტაპებზე. დოკუმენტური მტკიცებულებებისა და ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, რომ PDCA-ციკლის განხორციელება კვლავ პრობლემურია, განსაკუთრებით „შემოწმებისა“ და „მოქმედების“ ეტაპებზე.

ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს შემუშავებული აქვს პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და განვითარების ყოვლისმომცველი მეთოდოლოგია. ეს მეთოდოლოგია თავსებადია მოქმედ მარეგულირებელ კანონმდებლობასთან, უნივერსიტეტის პოლიტიკებთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ეროვნულ სტანდარტებთან, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან და საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკებთან. აღნიშნულ გამოწვევას აღიარებენ როგორც ცენტრალური ადმინისტრაციის, ისე შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. ამ პრობლემის გადასაჭრელად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულია, რომ სანგუსმ გააძლიეროს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დამატებითი ადამიანური რესურსების მობილიზებით, რათა გაიზარდოს PDCA-ციკლის ეფექტიანად და ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობა.

თვითშეფასების ანგარიშის მოსამზადებლად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ პროცესი ხასიათდებოდა ღიაობითა და თანამშრომლობით, სასურველია ამ მიდგომის კიდევ უფრო გაძლიერება მონაწილეთა უფრო ფართო წრის, მათ შორის მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების აქტიური ჩართულობით, რაც გაზრდის თვითშეფასების პროცესის ეფექტიანობასა და ინკლუზიურობას.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია დეტალურად განსაზღვრავს ნაშრომის ყველა კომპონენტს (სატიტულო გვერდი, აბსტრაქტი, სარჩევი, შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა, ბიბლიოგრაფია, დანართები) და სტუდენტებს მკაფიო მითითებებს სთავაზობს. ინსტრუქცია ასევე ზუსტად განსაზღვრავს ტექსტის ფორმატირების მოთხოვნებს, მათ შორის ფონტის მახასიათებლებს, ინტერვალსა და სხვა ტექნიკურ დეტალებს. გარდა ამისა, ის განსაზღვრავს პრეზენტაციის მოცულობას, რეგენზენტების ვალდებულებებს, საგამოცდო კომისიის შემადგენლობასა და შეფასების კრიტერიუმებს. შეფასების კრიტერიუმები და ქულათა განაწილება სრულადაა წარმოდგენილი, რაც

უზრუნველყოფს სამართლიან და ობიექტურ შეფასებას. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, ნაშრომები პლაგიატზე შესამოწმებლად წარმოდგენილი უნდა იყოს მე-13 კვირის ორშაბათს, რაც უზრუნველყოფს დროულ ვერიფიცირებას.

თუმცა, დოკუმენტი არ განსაზღვრავს, მსგავსების (და არა პლაგიატის) დასაშვებ მაჩვენებელს. ეს არსებითად მნიშვნელოვანია, რათა სტუდენტებმა და პერსონალმა იცოდნენ, რა შემთხვევაში ითვლება ნაშრომი პრობლემურად. საჭიროა განისაზღვროს კონკრეტული პროცენტული ზღვარი (მაგალითად, 20%), რომლის გადაჭარბების შემთხვევაშიც ნაშრომი საჭიროებს გადახედვას ან რევიზიას.

დოკუმენტში არ არის მითითებული, აქვს თუ არა სტუდენტს ჩაბარებამდე ნაშრომის პლაგიატზე დამოუკიდებლად შემოწმების უფლება და შესაძლებლობა. შესაბამისად, უნდა დაემატოს ინფორმაცია იმის შესახებ, აქვთ თუ არა სტუდენტებს პლაგიატის გამოვლენის სისტემაზე წვდომა, რამდენჯერ შეუძლიათ ამის გაკეთება და რა ვადებში. ასევე, არ არის დაზუსტებული, სად და როგორ შეუძლიათ სტუდენტებს მიიღონ ინფორმაცია პლაგიატის პრევენციის შესახებ (ინსტრუქციები, ვებგვერდები, ტრენინგები და ა.შ.). აღნიშნული საჭიროება ინტერვიუებმაც დაადასტურა.

„პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და მასზე რეაგირების წესის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ბიბლიოთეკის დირექტორი აკონტროლებს სისტემაში ატვირთულ ნაშრომებს და აფასებს პლაგიატის მაჩვენებლებს, რომლებიც ნაშრომში სისტემის ანალიზის საფუძველზეა გამოვლენილი. თუმცა, ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ აუცილებელია სპეციალისტის მიერ უშუალოდ დადგინდეს, ფიქსირდება თუ არა ნაშრომში პლაგიატი. გარდა ამისა, კონკრეტულ მაჩვენებლებთან დაკავშირებით ინტერვიუების დროს ითქვა, რომ ზღვრული პროცენტული ნიშნულები არ არის დადგენილი სხვადასხვა აკადემიური დარგის სპეციფიკის მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესში ჩართულია ბიბლიოთეკის დირექტორი, არსებული მექანიზმი არ უზრუნველყოფს პლაგიატის გამოვლენის პროცედურების სათანადო ხარისხით განხორციელებას. ინტერვიუების შედეგად გამოვლენილი საკითხებისა და დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინების საჭიროებიდან გამომდინარე, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ პროცესში პასუხისმგებელ მხარეებად განისაზღვროს სკოლების ადმინისტრაცია და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ამჟამად არსებული წესი მკაფიოდ არ განსაზღვრავს, თუ ვინ ახორციელებს პლაგიატზე შემოწმებას, რა ვადებში ხორციელდება აღნიშნული და როგორ ხდება შედეგების კომუნიკაცია. აღნიშნულ კონტექსტში კრიტიკულად მნიშვნელოვანია განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები (მაგალითად, სკოლების ადმინისტრაცია და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) და დაწესდეს შემოწმების ვადები (მაგალითად, ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღეში).

პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და მასზე რეაგირების წესის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატი გამოვლინდა, ნაშრომი იგზავნება სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და დეკანთან, ხოლო სტუდენტს მიეცემა 14 დღე განახლებული ნაშრომის

ჩასაბარებლად. განმეორებითი პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში იქმნება ეთიკის კომიტეტი, რომელიც განიხილავს საკითხს და გასცემს რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე გასვლის ან „ნული ქულის“ მინიჭებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მარეგულირებელი ჩარჩო პირდაპირ შეესაბამება „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას. კერძოდ, მე-4 მუხლის მე-19 პუნქტი განსაზღვრავს, რომ თუ მაგისტრანტმა სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში მიიღო მე-9 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით ან მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შეფასება, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას. შესაბამისად, ნაშრომში პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, მაგისტრანტს ნული ქულა ეწერება, რის შემდეგაც სტუდენტი საბოლოოდ კარგავს ნაშრომის ხელმეორედ წარდგენის შესაძლებლობას.

არსებული სამართლებრივი ჩარჩოს გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების პროცედურა“ უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნულ შესაბამისობას სჭირდება კრიტიკული ტერმინოლოგიური და პროცედურული დაზუსტებები. პირველ რიგში, ტერმინი „პლაგიატი“ უნდა შეიცვალოს ტერმინით „მსგავსება“, რათა შესაძლებელი იყოს პრობლემური შინაარსის ზუსტად იდენტიფიცირება. მეორე მხრივ, მსგავსების გამოვლენისათვის აუცილებელია განსაზღვრული იყოს კონკრეტული პროცენტული ზღვარი, რითაც შესაძლებელი იქნება დასაშვები აკადემიური თანხვედრის რეალური აკადემიური დარღვევისგან განსხვავება. ასეთი მკაფიო პარამეტრების გარეშე, თუნდაც უმცირესმა პროცენტულმა მსგავსებამ შესაძლოა შექმნას ზედმეტი სირთულეები და უარყოფითი გავლენა მოახდინოს პროცესის სამართლიანობასა და ეფექტურობაზე.

დოკუმენტში არ არის აღწერილი, როგორ უნდა იმოქმედონ სტუდენტებმა იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ დაეთანხმებიან პლაგიატის შემოწმების შედეგებს ან შეფასებას. აქ აუცილებელია დაემატოს გასაჩივრების პროცედურა და ვადები. გარდა ამისა, ინსტრუქციაში არ არის განსაზღვრული ნაშრომის მოცულობის (გვერდების რაოდენობის) შესახებ კონკრეტული მოთხოვნები. აუცილებელია დაზუსტდეს ნაშრომის გვერდების რეკომენდებულია რაოდენობა, ან ცალსახად აღინიშნოს, რომ მოცულობა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად.

დოკუმენტში არ არის დეტალურად აღწერილი, როგორ უნდა წარმოადგინონ სტუდენტებმა სამაგისტრო ნაშრომი (მაგალითად, ფიზიკური ასლი, CD, ელექტრონული ფორმატი), მიუხედავად იმისა, რომ ეს ხშირად აუცილებელია. **რეკომენდაცია:** განისაზღვროს წარდგენის ფორმატი და ვადები.

დოკუმენტში ასევე უნდა აისახოს:

- ნაშრომის მოცულობის რეკომენდაციები (ზუსტი გვერდების რაოდენობა ან დაზუსტება პროგრამის მიხედვით);

- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და დაცვის ვადები (მაგალითად, პლაგიატზე შემოწმების ვადა – მე-13 კვირის ორშაბათი);
- პლაგიატზე შემოწმების პროცესი (ვინ ახორციელებს შემოწმებას; სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი შემოწმების შესაძლებლობები და პირობები; შედეგების მიწოდების ვადები; გასაჩივრების მექანიზმი);
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცედურა (კომისიის შემადგენლობა; საჯარო დაცვის რეგულაციები და ხანგრძლივობა; ნაშრომის წარდგენის ფორმატი: ფიზიკური და ელექტრონული ასლები (მაგალითად, აკინძული ნაშრომი, CD, PDF, Word)) და სხვა.

დოკუმენტში უკვე მოცემულია მნიშვნელოვანი და დეტალური ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების შესახებ, რაც მისასაღებელია. თუმცა, საჭიროა დამატებითი დეტალების განსაზღვრა, განსაკუთრებით პლაგიატზე შემოწმების ტექნიკურ და პროცედურულ ასპექტებთან დაკავშირებით, რათა პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე, სამართლიანი და სტუდენტებისთვის გასაგები იყოს. აღნიშნული ცვლილებების შემთხვევაში, დოკუმენტი გადაიქცევა ყოვლისმომცველ ინსტრუმენტად, რომელიც, სამართლიანი შეფასების გზით უზრუნველყოფს როგორც აკადემიურ კეთილსინდისიერებას, ისე სამაგისტრო ნაშრომების ხარისხს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასების შედეგები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია“;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ოქმები;
- „პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და მასზე რეაგირების წესი“;
- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის ინსტრუქციაში მითითებული იყოს ნაშრომის მოცულობა, წარდგენის და დაცვის ვადები (წესები), კომისიის შემადგენლობა და სხვა არსებითი დეტალები;
- რეკომენდებულია, საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის გამოცდასთან დაკავშირებული ჩანაწერები, რაც

შესაძლებელს გახდის შეფასების მექანიზმების და კრიტერიუმების დახვეწას მარეგულირებელ წესებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;

- რეკომენდებულია, დაიხვეწოს პლაგიატის გამოვლენის სისტემა და განისაზღვროს მსგავსების დასაშვები პროცენტული ზღვარი, დაზუსტდეს დაშვებული ზღვრის გადაცდენის შემთხვევაში ნაშრომის კორექტირების და იმავე სემესტრში წარდგენის შესაძლებლობა და ვადები, ასევე რა შემთხვევაში არის ნებადართული მოდიფიცირებული ნაშრომის მომდევნო სემესტრში წარდგენა. გარდა ამისა, განსაზღვრული უნდა იყოს მკაფიო პროცედურები იმისათვის, რომ სტუდენტებმა თავად გადაამოწმონ ნაშრომი პლაგიატზე, დადგენილი უნდა იყოს გასაჩივრების მექანიზმები და პლაგიატის თავიდან აცილების რესურსები;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაიზარდოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალის რაოდენობა PDCA ციკლის დროულად და ეფექტურად დასრულების უზრუნველსაყოფად;
- სასურველია, თვითშეფასების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული აკადემიური/ მოწვეული პერსონალი და სტუდენტები, რაც უზრუნველყოფს ყოვლისმომცველი ხედვების მიღებას, გამჭვირვალობის გაზრდას და ხელს შეუწყობს უფრო ინკლუზიურ და ეფექტურ ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკას.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გარე ხარისხის შეფასება მოიცავს პროცესს, რომლის ფარგლებშიც აკრედიტაციის საბჭო განსაზღვრავს რეკომენდაციებს აკრედიტაციის სტანდარტების საფუძველზე. უნივერსიტეტი, ამ რეკომენდაციებს ძირითადად, პროგრამების შემუშავების პროცესში ითვალისწინებს.

წინა აკრედიტაციის დროს რამდენიმე რეკომენდაცია გაიცა, რომელთა შორის გამოსაყოფია:

- სასწავლო კურსების სილაბუსების ფორმა, სტრუქტურა და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობასთან.
- რეკომენდირებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ჩართულია უცხოელი სტუდენტები, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი სწავლებასწავლის ორგანიზებასა და შეფასების მეთოდებში ითვალისწინებდეს მათ კულტურულ და/ან სხვა საჭიროებებს.
- რეკომენდირებულია, საგნების უმეტესი ნაწილი ჩატარდეს ადგილზე.
- რეკომენდირებულია, ანტიპლაგიატის მექანიზმების გათვალისწინება სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქციაში.
- რეკომენდირებულია, ნათლად განისაზღვროს ინდივიდუალური სტუდენტის როლი კულმინაციური ჯგუფური პროექტის დროს და შეფასების მექანიზმები მათი ინდივიდუალური კონტრიბუციის იდენტიფიცირების მიზნით.
- განვითარდეს და განხორციელდეს პერსონალის ინდივიდუალური ტრენინგის გეგმები.
- რეკომენდირებულია, ორივე ინსტიტუციამ იმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების მექანიზმებისა და პრინციპების გაზიარებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მსგავსი კურსების შეფასების პროცედურებს, შეფასების ციკლებს, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მუდმივ მონიტორინგს და რელევანტურ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას;

სამ საკითხთაგან ზოგიერთი დღემდე საჭიროებს ყურადღებას. მაგალითად, სილაბუსები მოიცავს 7 კვირას, ზოგიერთში წარმოდგენილია 15 ქვე-საკითხად ჩაშლილი 7 თემა, მაშინ როდესაც სხვა კურსებში ასეთი კონკრეტული საერთოდ არ არის. არ არსებობს ერთიანი მიდგომა, რომელიც სილაბუსებს უფრო ინფორმატიულს, გამჭვირვალესა და ყოვლისმომცველს გახდიდა ისე, რომ სტუდენტებს ნათლად ესმოდეთ, რას ისწავლიან თითოეულ სასწავლო კურსში, რაზე იქნება ის დაფუძნებული და რა სიღრმით. დამატებით, კვლავ პრობლემად რჩება პლაგიატის საკითხი, განსაკუთრებით, მისი გამოვლენის მექანიზმების დახვეწის მიმართულებით. ასევე ყურადსაღებ საკითხად რჩება პროგრამის სწავლის შედეგები და მათი შეფასების მექანიზმები (იხ. კომპონენტები 1.2 და 1.3). აუცილებელია, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უფრო ინტენსიურად და კოორდინირებულად იმუშაონ ამ მიმართულებით.

თუმცა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ არსებობს აღნიშნულ რეკომენდაციებზე მუშაობისა და პრობლემური საკითხების გადამუშავების

მზადყოფნა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან შედგა მაქსიმალურად კონსტრუქციული კომუნიკაცია და მათ მზადყოფნა გამოხატეს, გაეთვალისწინებინათ აღნიშნული მიგნებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა.
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს სხდომის ოქმი.
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილება.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გადაიხედოს და გაანალიზდეს წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციები, შეფასდეს მნიშვნელოვანი საკითხები და აღმოფხვრას პრობლემები, მათი პროგრამაში ინტეგრირების ან შემდგომი განვითარების მიზნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას, რომლის შედეგებიც გროვდება და ანალიზდება ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, ხოლო შეფასების შედეგები აისახება პროგრამის შინაარსსა და სასწავლო პროცესში. კიბერუსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდა არა მხოლოდ ტრადიციული და ნაცადი მეთოდების გამოყენებით, როგორცაა სტუდენტების, ლექტორების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვები და ფოკუს ჯგუფები, არამედ ასევე პროგრამის დარგობრივი საბჭოს უშუალო ჩართულობითაც. ცხადი ხდება, რომ საჭიროა მუშაობა პროგრამის სწავლის შედეგებსა და მათი შეფასების მექანიზმებზე (იხ. კომპონენტები 1.2 და 1.3).

პრობლემურია სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისა და დაცვის პროცედურები. ერთი მხრივ, მეტი ინფორმაციაა საჭირო პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებზე, ხოლო მეორე მხრივ, აუცილებელია სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის საკითხი უფრო დეტალურად იყოს გათვალისწინებული და გადამუშავდეს შესაბამისი რეგულაცია (იხ. დეტალურად კომპონენტი 2.4).

გარდა ამისა, დადგინდა, რომ საჭიროა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეტად მხარდაჭერა, რათა უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მათი ინფორმირებულობა სწავლების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით, რაც მათ საშუალებას მისცემს, სწავლების მეთოდოლოგიები სამაგისტრო დონის სპეციფიკის გათვალისწინებით დააინტეგრირონ სასწავლო პროცესში (იხ. კომპონენტი 2.3); ასევე უნდა გაძლიერდეს და უკეთ იყოს უზრუნველყოფილი პერსონალის მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ლექტორების მოზიდვა (იხ. დეტალურად კომპონენტები 4.1 და 4.2). აუცილებელია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ამ მიმართულებით გააძლიეროს მექანიზმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- მონიტორინგის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სტუდენტთა გამოკითხვები;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მონიტორინგი, სწავლის შედეგების, მათი შეფასების მექანიზმების, სწავლების მეთოდების, კითხვარებისა და ინტერვიუების შედეგად გამოვლენილ პრობლემების და სხვა მიმართულებების უკეთ მხარდასაჭერად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი - საქართველო
 ჩრდილოეთ კენტაკის უნივერსიტეტი - ამერიკის შეერთებული შტატები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

